აჭარა

გამოცემის 102-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№129 (25.009) შაბათი, 26 - 28 ნოემბერი, 2022 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია წვიმა, მაღალ მთაში - თოვა, დასავლეთის მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და შიდამთიან რაიონებში - 13-18, მთაში - 5-10 გრადუსი სითბო. ზღვის წყლის ტემპერატურა 19 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 760 მილიმეტრი.

ხვალ ამინდი შენარჩუნდება, მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

ბათუმი რიგით მე-10 საერთაშორისო გამოფენას „AGRO BATUMI 2022“ მასპინძლობს

ხატია იაშვილი 555 18 48 88

*სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და ინვენტარი, სასუქები და მცენარეთა დაცვის საშუალებები, სასათბურე მეურნეობისა და სათბურის აღჭურვილობა, მეტეოროლოგიური საზომი და მელიორაციის სისტემები, ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელების, რძის პროდუქტების, ჯემების და მურაბების მწარმოებელი კომპანიები, მეფუტკრეობა, მეფრინველეობა, მეცხოველეობა, შესაფუთი მასალები და სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული ორგანიზაციები - ეს არასრული ჩამონათვალია სოფლის მეურნეობის იმ დარგების, პროდუქციის და კომპანიებისა, რომლებიც აგრო-სასურსათო პროდუქციისა და ტექნოლოგიების მე-10 საერთაშორისო გამოფენაზე **„Agro Batumi 2022“** ორი დღის განმავლობაში იქნება წარმოდგენილი (ბათუმში, ლადო ასათიანის №27, სპორტის სასახლე, დასწრება თავისუფალია)*

გამოფენა გუშინ გაიხსნა. ცერემონიას აჭარის და თურქეთის რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. როგორც ჩვენთან საუბარში აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრმა აღნიშნა, მსგავსი ტიპის გამოფენები ჩვენი რეგიონისთვის ძალზე მნიშვნელოვანია. „გამოფენაში წარმოდგენილი პროდუქცია იქნება პოპულარული როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე თურქეთის რესპუბლიკაში. ვინაიდან აქ მონაწილე კომპანიები არა მარტო საქართველოდან, არამედ ლატვიიდან, უკრაინიდან, ბელარუსიდან და უფრო მეტი თურქეთის რესპუბლიკიდანაა. „აგრო ბათუმი 2022“ ხელს შეუწყობს ახალი ტექნოლოგიების დანერგვას, ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავებას, რაც შემდგომ ეკონომიკურ ზრდას გამოიწვევს“, - გვითხრა აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ზაზა შავაძემ.

გამოფენის „Agro Batumi 2022“ მიზანი სოფლის მეურნეობაში აქტიურად ჩართული საერთაშორისო და ადგილობრივი წარმომადგენლების ერთ სივრცეში გაერთიანებაა, რაც ხელს შეუწყობს ინოვაციების შესახებ ინფორმაციის გაცვლასა და ახალი პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბებას. გამოფენის მსვლელობისას მონაწილე კომპანიებს საშუალება ეძლევათ, ორი დღის განმავლობაში თავიანთი პროდუქცია და სერვისები პოტენციურ მყიდველებს გააცნონ. წელს აგროგამოფენაში 50-მდე ადგილობრივი და საერთაშორისო კომპანია მონაწილეობს. მათ შორის არიან ისეთები, რომლებიც ქართულ ბაზარზე ახლა იკიდებენ ფეხს. „ჩვენ ქალაქ მარნეულში აჭარული ინდაურის ფერმა გვაქვს. პირველები ვართ საქართველოში, რომლებიც ინდაურის ხორცს ვაწარმოებთ. წელს პირველი ნაკადი დაიჩეკა და გავამრავლეთ. ძალიან დაგვეხმარა ევროპული ქვეყნების გამოცდილება. მოგვცეს პროგრამები. მათი რჩევებით გავზარდეთ ინდაური შესაბამის წონამდე. გვინდა, ჩვენი ფერმის შესახებ უფრო ბევრმა გაიგოს, ამიტომ მსგავსი ტიპის გამოფენებში ყოველთვის მივიღებთ მონაწილეობას. ყველა ფერმერს წარმატებას ვუსურვებთ“, - გვითხრა შპს „აჭარული ინდაურის“ დირექტორმა გია ჯიჯავაძემ.

აგროგამოფენაზე კიდევ ერთ ახალ ქართულ კომპანიას გავეცანით. ქალბატონი მარიამ ჯოხაძე ბელგიური შოკოლადისგან სხვადასხვა თემატიკის ყუთებს ამზადებს. „პანდემიის პერიოდში (ვინაიდან ვარ კონდიტერი) გადავწყვიტე შოკოლადებისგან ულამაზესი სასაჩუქრე ყუთები დამემზადებინა. ჯერჯერობით ონლაინ ვმუშაობ, რათა ჩემი პროდუქცია ყველამ გაიცნოს და დააგემოვნოს. ბევრი კმაყოფილი მომხმარებელი მყავს და მიხარია, რომ დღეს აქ ვარ, აჭარაში და ჩემი შოკოლადებით ვუმასპინძლდები ვიზიტორებს“, - გვითხრა კომპანია „მარიშკას“ დამფუძნებელმა მარიამ ჯოხაძემ.

აგრო-სასურსათო პროდუქციისა და ტექნოლოგიების მე-10 საერთაშორისო გამოფენის ორგანიზატორი აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო და კომპანია GEONET EXPO-ა.

გამოფენის მხარდამჭერია: აჭარის მთავრობა, ბათუმის მერია, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრი, აწარმოე საქართველოში, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა, აჭარის სავაჭრო-სამრეწველო პალატა, საქართველოს საერთაშორისო ინვესტორთა ასოციაცია (II), თურქ ბიზნესმენთა ასოციაცია (MUSIAD), ქართველ და თურქ ბიზნესმენთა ასოციაცია (GURTIAD), აჭარის ტელევიზია, TV 25 და გაზეთი „აჭარა“.

კრიალოსანი უსი

ევროპის კონტინენტზე მშვიდობა მხოლოდ მაშინ დაისადგურებს, როდესაც მისი ყველაზე დასავლეთი და ყველაზე აღმოსავლეთი ნაწილები ევროკავშირისა და ნატოს ერთიანი ქოლგის ქვეშ იქნებიან, ამ საქმეში პორტუგალიის მხარდაჭერის იმედი გვაქვს, - ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა პორტუგალიის ეროვნული კრების პრეზიდენტ ავგუსტო სანტოს სილვასთან გამართული შეხვედრის შემდეგ განაცხადა. მხარეებმა შეხვედრისას ხაზი გაუსვეს, რომ საქართველო-პორტუგალიის თანამშრომლობის პოტენციალის სრულად გამოყენება მნიშვნელოვანია.

* * *

„ქართული ოცნების“ მიერ ინიცირებული და პარლამენტის მიერ ორი მოსმენით მიღებული უკრაინული კანონპროექტი „დეოლიგარქიზაციის შესახებ“ არ ვარგა და ჩვენს რეალობას არ შეესაბამება - სინამდვილეში, ეს არის კანონი უფულო ოლიგარქების შესახებ, - ამის შესახებ პარლამენტის ოპოზიციონერმა ვიცე-სპიკერმა ლევან იოსელიანმა განაცხადა. მისი შეფასებით, აღნიშნული კანონი იმ ხალხსაც დაჩაგრავს, ვინც ფული იშოვა, მაგრამ პოლიტიკა არ აინტერესებს. „აღნიშნული კანონპროექტი დაწერილია სხვა ქვეყნისთვის, მისი კოპირება და მიღება ვერ უზრუნველყოფს დეოლიგარქიზაციის ვალდებულების შესრულებას,“ - აცხადებს იოსელიანი.

* * *

ძალიან გააქტიურდა მოთხოვნები ერთი მხრივ ნიკა გვარამიას გათავისუფლებაზე და მეორეს მხრივ, მიხეილ სააკაშვილის უცხოეთში სამკურნალოდ გაშვებაზე. გასაგებია რატომაც. იმიტომ, რომ საბოლოოდ ნადგურდება რადიკალური ოპოზიცია, ბოლომდე იშლება „ნაციონალური მოძრაობა“, - ამის შესახებ მოძრაობა „ხალხის ძალის“ წევრმა სოზარ სუბარმა განაცხადა. „ხალხის ძალა“ გამოეხმაურა არასამთავრობო სექტორის მიერ ევროპული საბჭოს პრეზიდენტის მიმართ წერილობით თხოვნას, მოუწოდოს სალომე ზურაბიშვილს ნიკა გვარამიას გათავისუფლებისკენ და სამკურნალოდ იქნას გადაყვანილი სააკაშვილი.

* * *

ახალი სახალხო დამცველის არჩევის საკითხზე პარლამენტში პოლიტიკურ ჯგუფებს შორის კონსულტაციები გაიმართა. „სტრატეგია აღმაშენებელი“ პროცესს უნდობლობას უცხადებს. დეპუტატმა პაატა მანჯგალაძემ განაცხადა, რომ „სტრატეგია აღმაშენებელმა“ სახალხო დამცველის პოსტზე ასარჩევად პარლამენტს არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ რეკომენდებული სამი კანდიდატი წარუდგინა და ახლა ჯერი ხელისუფლებაზეა, თუ ვის დაუჭერს მხარს.

მოამზადა
ია შველიძემ

როგორ აღმოაჩინა საკუთარ თავში ძალა და შეძლო სიკვდილის სურვილის დამარცხება...

4

«მზად უნდა იყო, რომ სტანდარტებს გვერდი აუარო»

5

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

დარეკეთ «აჭარის» რედაქციაში - ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია თქვენი მოსაზრება! - 27-48-93

შეხვედრები აჭარის მთავრობაში

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე უნგრეთის ელჩს საქართველოში ანა მარია შიკოს შეხვდა. თორნიკე რიჟვაძემ უნგრეთის მხარეს საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის გზაზე გამოხატული ურყევი მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა და ელჩს რეგიონში არსებული ეკონომიკური და ტურისტული მდგომარეობა გააცნო

შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა ორ ქვეყანას შორის უკანასკნელ პერიოდში ურთიერთობების გააქტიურების დადებით დინამიკაზე. დაიგეგმა ერთობლივი პროექტები კულტურის, განათლების და გარემოს დაცვის სფეროებში.

* * *

აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ ბათუმის საზღვაო ნავსადგურის გენერალურ დირექტორ ულან ტლეუგალთან გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გამართა.

შეხვედრაზე სამომავლო გეგმების, ტვირთბრუნვის გაზრდისა და ინფრასტრუქტურის განვითარების შესახებ ისაუბრეს. ასევე, განიხილეს ეკოლოგიური და ტექნოლოგიური მიმართულებებით განსახორციელებელი სამომავლო პროექტები. შეხვედრას აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი ჯაბა ფუტკარაძე ესწრებოდა.

აჭარის მთავრობის პრესსამსახური

საერთაშორისო ფორუმი – „დიალოგი 2022“

დარინა გაბაიძე 27 48 93

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე ირაკლი გივიაშვილი ახალგაზრდობის სააგენტოს დირექტორის მოადგილე ვახტანგ ბაიაშვილსა და ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრის ხელმძღვანელ თამარ გაბაიძესთან ერთად საერთაშორისო ფორუმ „დიალოგი 2022“-ის მონაწილეებს შეხვდა

მოისმინა მონაწილეების გეგმები, გაუზიარა მათ საკუთარი გამოცდილება, ისაუბრა საერთაშორისო ღონისძიებების მნიშვნელობასა და ახალგაზრდობისთვის დაგეგმილ პროექტებზე. მინისტრის მოადგილემ ახალგაზრდებს წარმატებები უსურვა როგორც ფორუმის მიმდინარეობისას, ისე - სამომავლო საქმიანობაში.

ჩვენ კომენტარი ვთხოვეთ „დიალოგი 2022“-ის ერთ-ერთ მონაწილეს გიორგი ბოლქვაძეს.

- ვფიქრობ, ეს პროექტი ხელს შეუწყობს ახალგაზრდების განვითარებას, ევროპის სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან უფრო მეტ კომუნიკაციას, დამეგობრებას, ცოდნის გაზიარებას, განსაკუთრებით ახალგაზრდული მიმართულებით. ყველაზე მნიშვნელოვანი კი მიღებული ცოდნის და გამოცდილების გავრცელებაა აჭარის სხვადასხვა მუნიციპალიტეტში. ვიმედოვნებ, ეს საერთაშორისო პროექტი ხელს შეუწყობს ჩვენი რეგიონის ახალგაზრდების უფრო მეტ ჩართულობას დემოკრატიულ პროცესებში, სამომავლოდ უფრო მასშტაბური ღონისძიებების დაგეგმვას. მაგალითად, ქართველმა ახალგაზრდებმა უცხოეთში მსგავს ფორუმებში უნდა მიიღონ მონაწილეობა და ჩამოიტანონ ის აუცილებელი ცოდნა, რაც ჩვენს ქვეყანას გამოადგება.

ბიუჯეტის პროექტი განიხილეს

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

შუახევის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი პროგრამული ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვა გაიმართა

მთავარი საფინანსო დოკუმენტი მოქალაქეებს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ედნარ კეჟერაძემ გააცნო. მოსაზრებები გამოთქვეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძემ, მერმა ომარ ტაკიძემ.

საჯარო განხილვის მონაწილეებს მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტის ყველა პარამეტრი გააცნო მერიის საფინანსო სამსახურის უფროსმა ანზორ ცეცხლაძემ. წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად, შუახევის მუნიციპალიტეტის მომავალი წლის ბიუჯეტის მოცულობა 17 900 000 ლარზე მეტს შეადგენს.

განხილვა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. წინადადებებით გამოვიდნენ საკრებულოს წევრები ვახტანგ ფუტკარაძე, მელანო ებრალიძე, ფატი ჭაღალიძე, ედუარდ გოგრაჭაძე, თენგიზ ივანაძე, ფრიდონ ფუტკარაძე, გიორგი კეკელიძე, მერიის სამსახურის უფროსი ფრიდონ დავითაძე. გამოთქმულ წინადადებებსა და სურვილებზე მერია მუშაობას აგრძელებს.

- მერიამ ბიუჯეტის პროექტი კანონმდებლობით დადგენილ ვადებში წარმოადგინა. მიმდინარეობს მისი განხილვა. ამჯერადაც საინტერესო და პრინციპული მსჯელობა გვქონდა, გვესწრებოდნენ მოსახლეობის წარმომადგენლებიც, რომლებმაც საკუთარი მოსაზრებები შემოგვთავაზეს. მომავალ წელს გაზრდილი ბიუჯეტით ვიმუშავებთ, რაც საშუალებას მოგვცემს, მოსახლეობის კეთილდღეობაზე ვიზრუნოთ. ამასთან, შევეცდებით, რომ განხილვების პროცესში გამოთქმული მოსაზრებები ძირითად დოკუმენტში აისახოს. - მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტის ფორმირება მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. მოსახლეობასთან შეხვედრებისას გამოთქმულ მოსაზრებებსაც ვითვალისწინებთ. მთავარ მიმართულებებად ისევ და ისევ განათლება, მოსახლეობის სოციალური დაცვა რჩება, - გვითხრა შუახევის მუნიციპალიტეტის მერმა ომარ ტაკიძემ.

საერთაშორისო სიმპოზიუმზე

თამაზ მგზავრიძე 27 48 94

ავსტრიაში ვენის მუსიკისა და საშემსრულებლო ხელოვნების უნივერსიტეტში ფოლკლორული მუსიკის კვლევის საერთაშორისო სიმპოზიუმი გაიმართა

ღონისძიებაში 15 ქვეყნის 40-მდე შემსრულებელი და მკვლევარი მონაწილეობდა, მათ შორის იყვნენ ქედის კულტურის ცენტრის ხელოვანები ლოლიტა სურმანიძე, მურად და ისმაილ თავართქილაძეები. ეთნომუსიკოლოგი ლოლიტა სურმანიძე ჭიბონის შესახებ მოხსენებით „მოტივ-ცენტრული შემსრულებლობა ჭიბონზე სოლო, საცეკვაო და სასიმღერო თანხლებისას“, ხოლო ჭიბონსა და დოლზე შემსრულებლები მურად და ისმაილ თავართქილაძეები სიმპოზიუმის დასკვნით კონცერტზე აუდიტორიის წინაშე აჭარული ფოლკლორული რეპერტუარით წარსდგნენ.

სიმპოზიუმის ფარგლებში მონაწილეებმა უცხოელ შემსრულებლებს გაუზიარეს საკრავების - ჭიბონისა და დოლის დამზადების მეთოდიკა და ტრადიციული საშემსრულებლო პრინციპები, ასევე, უცხოელი ოსტატ-შემსრულებლებისგან ეზიარნენ სხვადასხვა ქვეყნის ტრადიციულ საკრავებზე დაკვრისა და დამზადების სპეციფიკას.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ავსტრიაში მყოფი საქართველოს საელჩოს წარმომადგენლები.

სიმპოზიუმზე ქართველი მონაწილეები ქედის მუნიციპალიტეტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით იმყოფებოდნენ.

ამბები

სამოქალაქო განათლების კლუბი

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალის საჯარო სკოლას დიდი ტრადიციები აქვს. მის კლუბში აღიზარდნენ საქვეყნოდ ცნობილი მწერალი და მეცნიერი რამაზ სურმანიძე, პოეტი შოთა დიასამიძე, მწერალი რეზო ჭაღალიძე, პუბლიცისტი ნოდარ შარაშიძე, ბიზნესმენი ნუგზარ ჭაღალიძე, შუახევის რაიონის ყოფილი ხელმძღვანელი მურმან ჭაღალიძე, მხატვარი, პროფესორი ნოდარ ჭაღალიძე. სკოლის ახლანდელი დირექტორი ალექსანდრე შარაშიძე და 20-მდე პედაგოგი სწავლების თანამედროვე მეთოდებსა და ფორმებს აქტიურად იყენებენ. სამოქალაქო განათლების პედაგოგის ია ჯაყელისა და 15-ზე მეტი მოსწავლის ინიციატივით, შეიქმნა სამოქალაქო განათლების კლუბი **„Elite team“**. მისი სლოგანია „მეტი ცოდნა, მეტი განვითარება“.

კლუბის მიერ გაწეულ საქმიანობაზე ისაუბრეს წარდგინებაზე, რომელზეც მიწვეულნი იყვნენ შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე, შუახევის რესურსცენტრის უფროსი ედუარდ გოგრაჭაძე, საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეები ფატი ჭაღალიძე, მალხაზ ტაკიძე, საკრებულოს წევრი ვახტანგ ფუტკარაძე.

მოსწავლეებმა სტუმრებს გააცნეს კლუბის სტრუქტურა, მიზნები, ამოცანები და უახლესი გეგმები. იმსჯელეს სოფლის წინაშე არსებულ გამოწვევებზე, მიგრაციის მიზეზებსა და მასთან დაკავშირებულ პრობლემებზე. წარმოადგინეს მიგრაციის შეჩერების მათეული ხედვა, რომელიც სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, დააკავშირეს ჯანსაღი ცხოვრების წესს - სპორტულ აქტივობებს, რისთვისაც პრიორიტეტად განსაზღვრეს სპორტული დარბაზის რეაბილიტაცია.

ღონისძიების მონაწილეებმა კლუბის წევრებს შეუქეს გაწეული მუშაობა, მოუწოდეს, რომ სოფლისა და ქვეყნის პრობლემების მოგვარებაზე თავიანთი ხედვა მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი სტრუქტურების ყურადღების არეალში მოაქციონ. საკრებულოს ხელმძღვანელობა მოსწავლეებს შეჰპირდა, რომ მათთან ერთად იმსჯელებს წარმოდგენილი პროექტების განხორციელების შესაძლებლობებზე. დეკემბერში კლუბის წევრებსა და მათ პედაგოგს საკრებულოს სხდომაზეც მიიწვევენ.

მცენარეთა დაცვის აქტუალური პრობლემები – საქართველოში

დარინა გაბაიძე 27 48 93

ბათუმის ბოტანიკურმა ბაღმა უმასპინძლა სამუშაო შეხვედრას - „მცენარეთა დაცვის აქტუალური პრობლემები საქართველოში“, რომელიც სასტუმრო „დრიმლენდ ოაზისში“ გაიმართა

შეხვედრის მონაწილეებს მიესალმა ბათუმის ბოტანიკური ბაღის დირექტორი ირაკლი არჩაია, რომელმაც ისაუბრა მცენარეთა დაცვის კუთხით არსებული პრობლემების ერთობლივად გადაჭრის და სამომავლო გეგმების შემუშავებაში მსგავსი ფორმატის შეხვედრების მნიშვნელობაზე.

სამუშაო შეხვედრაში, ბათუმის ბოტანიკური ბაღის გარდა, მონაწილეობდნენ საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის, ზუგდიდისა და ქუთაისის ბოტანიკური ბაღების, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები.

სამუშაო შეხვედრის ძირითადი მიზანი გახლდათ საქართველოში გავრცელებულ მცენარეთა მავნებელ-დაავადებების კვლევის და მათ წინააღმდეგ გატარებული ღონისძიებების შედეგად მიღებული სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობის ინფორმაციების, მოსაზრებების, ცოდნისა და გამოცდილების ურთიერთგაზიარება, ასევე, სამომავლო ხედვების და იდეების წარმოჩენა ბოტანიკური ბაღების და ქვეყნის ფიტოსანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

შეხვედრის მიმართულებებს და თემატიკას წარმოადგენდა: მცენარეთა დაცვის სტრატეგია, ბოტანიკური ბაღები, მცენარეთა დაცვა და საქართველოს ტყის ფონდის ფიტოსანიტარიული მდგომარეობა. ჩვენ ვესწრებოდით ამ სამუშაო ღონისძიებას და კომენტარი ვთხოვეთ ბათუმის ბოტანიკური ბაღის დირექტორს, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, შემოსავლების სამსახურის და სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებს.

ირაკლი არჩაია, ბათუმის ბოტანიკური ბაღის დირექტორი:

- ბათუმის ბოტანიკური ბაღი 110 წლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, აგრძელებს აქტიური ღონისძიებების განხორციელებას. მცენარეთა დაცვის აქტუალურ პრობლემებზე სასაუბროდ შევკრიბეთ საქართველოში არსებული ბოტანიკური ბაღების, ასევე, სამთავრებო და არასამთავრებო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ვინც უშუალოდ ამ თემით არიან დაინტერესებულები და აქტიურად მუშაობენ როგორც პრაქტიკული, ისე სამეცნიერო მიმართულებით. შეხვედრა ძალიან საინტერესოდ წარიმართა, თითოეული მონაწილე კვალიფიციურად წარსდგა პრეზენტაციებით და ვფიქრობთ, რომ ამ ტიპის შეხვედრები კიდევ უფრო გაალრმავებს ცნობადობას, კიდევ უფრო გაზრდის დაინტერესებას, რათა საქართველოში არსებული ბიომრავალფეროვნება და, ზოგადად, ეკოლოგია იყოს დაცული. თემა შევარჩიეთ მისი აქტუალურობიდან გამომდინარე, ბოტანიკური ბაღებისათვის. ჩვენ კოვიდპანდემიამდე, 2019 წელს, დაახლოებით, ამ შინაარსის თემატიკის შეხვედრას ვუმასპინძლეთ. ძალიან დიდი გამოხმაურება, მოწონება და მხარდაჭერა ვიგრძენით ჩვენი კოლეგა ორგანიზაციებისაგან და ამის შემდეგ გადავწყვიტეთ, რომ ამ შინაარსის შეხვედრა კიდევ ჩაგვეტარებინა. ამ შეხვედრამ დაგვარწმუნა, რომ უნდა გავშალოთ ეს არეალი და მომავალ წელს გვაქვს იდეა, ვუმასპინძლოთ საერთაშორისო დონის კონფერენციას ან სემინარს, ჩავრთოთ მასში ჩვენი უცხოელი კოლეგები, მოვისმინოთ მათი პრაქტიკული გამოცდილებები და სამეცნიერო მიღწევები მცენარეთა დაცვის მიმართულებით, გავიგოთ, რა გამოწვევების წინაშეა დღეს თანამედროვე მსოფლიო ამ მხრივ, რათა ჩვენც მოწოდების სიმაღლეზე ვიყოთ როგორც ინფორმაციის დონეზე, ასევე პრაქტიკული უნარ-ჩვევები მიიღონ ჩვენმა სპეციალისტებმა. ჩვენთვის პირველი საზრუნავი და საფიქრალი არის ბოტანიკურ ბაღში არსებული კოლექციები და მათი უსაფრთხოება, მცენარეთა დაცვა. გვაქვს იდეა, რომ მომავალში როდესაც საერთაშორისო დონის ღონისძიებას ჩავატარებთ, ამ მიმართულებით უკვე დაიდოს ძალიან კვალიფიცირებული დასკვნები, რეკომენდაციები და ეს ყველასათვის ხელმისაწვდომი იყოს. ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანი დოკუმენტის შემუშავებას შევძლებთ.

აზა ხაბაზი, შემოსავლების სამსახურის სანიტარიული, ფიტოსანიტარიული, ვეტერინარული კონტროლის სამმართველოს მთავარი ფიტოსანიტარი:

- ჩემი თემა შეეხებოდა ფიტოსანიტარიულ კონტროლს, როგორ ვაკონტროლებთ საზღვრებს მავნე ორგანიზმების შემოჭრისაგან. ეს სამუშაო შეხვედრა ძალიან დადებითად აისახება სამომავლოდ ჩვენს მუშაობაზე. ინფორმაციის გაცვლა ძალიან საინტერესოა და მნიშვნელოვანია, თუ რომელი მავნებლები გვხდება, როგორ ვრცელდება, რომ ჩვენც ამის მიხედვით ვიმუშაოთ და გავაკონტროლოთ საზღვრები, მცენარეები და მცენარეული პროდუქტი. მცენარეების და მცენარეული პროდუქტების კონტროლი საჭიროა იმისთვის, რომ არ იყოს საზღვრების შიგნით საკარანტინო და არასაკარანტინო მავნებლები.

ნიკოლოზ მესხი, სურსათის ეროვნული სააგენტოს მცენარის დაცვის დეპარტამენტის უფროსი:

- მოხარული ვარ, რომ მომიწვიეს დღევანდელ ღონისძიებაზე, რომელიც ეძღვნება ბათუმის ბოტანიკური ბაღის დაარსებიდან 110 წლის იუბილეს. ჩემი მოხსენება შეეხებოდა აზიური ფაროსანასა და კალიების საწინააღმდეგო ღონისძიებებს სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ასევე, მცენარეთა საკარანტინო მავნე ორგანიზმების მონიტორინგს, თუ რა აქტივობებს ახორციელებს სააგენტო სახელმწიფო პროგრამის მიმდინარეობისას. ძალიან საინტერესო პრეზენტაციები მოვისმინეთ სხვადასხვა გამომსვლელისგან, გავუზიარეთ ერთმანეთს გამოცდილება, ძალიან ბევრი სიახლე გავიგე მათგან. მისასალმებელია ამ ტიპის ღონისძიებების ჩატარება, სადაც სპეციალისტებს აქვთ შესაძლებლობა, შეხვდნენ, გაუზიაროონ ერთმანეთს გამოცდილება, ცოდნა. ვისურვებდი, რომ მსგავსი შეხვედრები რეგულარულად ჩატარდეს.

- მეფუტკრეები ხშირად აღნიშნავენ, რომ ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებები დიდ ზიანს აყენებს მათ საფუტკრე მეურნეობებს. ამ საკითხთან დაკავშირებით აზრი ორად იყოფა. ნაწილი მეფუტკრეებისა თვლის, რომ საერთოდ არ ახდენს ეს შეწამვლა ზეგავლენას, ხოლო ნაწილი საპირისპიროს ამტკიცებს...

- ღონისძიებები ამ მავნებლების წინააღმდეგ ხორციელდება ფუტკრების მაქსიმალური დაცვით, მაგალითად, როდესაც თერმული გზით ტარდება ღონისძიებები, ძირითადად, ეს ხდება საღამოს საათებში, როცა ფუტკარი სკაშია შესული, თანაც ამ დროს გამოიყენება ისეთი ტიპის ტექნოლოგია, რომელიც არ მოქმედებს ფუტკარზე უარყოფითად. ასევე, მეორე მიმართულებაა „მოიზიდე და გაანადგურეს“ სადგურების გამოყენება. მოსახლეობისგან მოშორებით ხდება ფერომონების განთავსება არაყვავილოვან ხეებზე, ესეც ფუტკრის დაცვის მიზნით და ხდება მათი პერიოდული დამუშავება. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ თვითონ მეფუტკრეებმა განახორციელონ ფუტკრის დაავადებების საწინააღმდეგო ღონისძიებები სწორად, რჩევები მიიღონ პროფესიონალებისგან, კვალიფიცირებული მეფუტკრეებისგან, რომლებსაც აქვთ ამ კუთხით დიდი გამოცდილება.

- რამდენად მნიშვნელოვანია ამ სამუშაო შეხვედრის დროს მიღებული ცოდნისა და ინფორმაციის მიწოდება ფერმერებისათვის?

- მნიშვნელოვანია, რა თქმა უნდა, და ჩვენ ვახორციელებთ შესაბამის აქტივობებს. პრეზენტაციაშიც აღვნიშნეთ, რომ ექსტენცია სწორედ ფერმერების ცოდნის ამაღლებას ემსახურება. როგორც აჭარის რეგიონში, ასევე მთელი ქვეყნის მასშტაბით, ყველა მუნიციპალიტეტში არსებობს რეგიონალური საინფორმაციო-საკონსულტაციო (ექსტენციის) სამსახურები, რომლებიც აწვდიან იქ მომუშავე ფერმერებს ყველა საჭირო ინფორმაციას, მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნე ორგანიზმების შესახებ.

- თქვენი გამოცდილებით, ფერმერები დარგის სპეციალისტებს რამდენად ენდობიან?

- ნდობის ფაქტორი მნიშვნელოვანია. აუცილებელია, რომ ფერმერმა გაითვალისწინოს მისი რჩევა. ნებისმიერ წამყვან ქვეყანაში, დარგის სპეციალისტების რეკომენდაციებით ხელმძღვანელობენ ფერმერები. დიდი მნიშვნელობა აქვს ექსტენციას, ისინი აწვდიან ფერმერებს საჭირო ინფორმაციას და, რა თქმა უნდა, აქვთ ნდობაც, ფერმერები, თავის მხრივ, ითვალისწინებენ ამ რჩევებს, თუმცა უფრო მეტია საჭირო და ამაზე მუშაობს სამინისტრო, სახელმწიფო. მიზანია, ფერმერმა მიიღოს უხვი და ხარისხიანი მოსავალი იმ საჭირო ღონისძიებების გატარებით, რაც აუცილებელია ნებისმიერი სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების დროს.

ჯიმშერ ღიასამიძე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აგრარული განვითარების დეპარტამენტის სოფლის მეურნეობის დარგობრივი განვითარების განყოფილების უფროსი:

- სამუშაო შეხვედრაზე სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი იყო პრეზენტაციები მცენარეთა დაცვის თემატიკაზე, მათ შორის, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმოვადგენდით მე და აგრარული ექსტენციის უფროსი სპეციალისტი გიორგი მახარაძე. ჩვენი თემა შეეხებოდა აგრარული ექსტენციის მნიშვნელობას მცენარეთა დაცვის მიმართულებით და ფიტოსანიტარიული კუთხით აჭარაში არსებულ გამოწვევებს. ვისაუბრეთ აჭარაში გავრცელებული დომინანტი მავნებელ-დაავადებების შესახებ. როგორც ცნობილია, ექსტენციას ვატარებთ 4 ეტაპად. ნიადაგის დამუშავება-განოყიერების, სხვლა-ფორმირების, მცენარეთა დაცვისა და მოსავლის აღების ფაზაზე. ფერმერების 65 %-ის მხრიდან მოთხოვნა არსებობს კონკრეტულად მცენარეთა დაცვის ფაზაზე. შესაბამისად, აღნიშნული თემის აქტუალურობა გამომდინარეობს იქიდან, რომ მცენარეთა დაცვა არის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება ამა თუ იმ სასოფლო-სამეურნეო კულტურის წარმოების კომპონენტში, სადაც ფერმერს ესაჭიროება კვალიფიცირებული კონსულტაცია. აჭარაში ექსტენცია, სწავლება-კონსულტირება არის უფასო. ექსტენციის განყოფილება არის სამინისტროში, საიდანაც იმართება ეს პროცესი. მუნიციპალიტეტებში გვყავს მემცენარეობისა და მეცხოველეობის დარგის სპეციალისტები. მემცენარეობის მიმართულებით მუშაობს 13 სპეციალისტი, 4 მუშაობს ვეტერინარიის, 1 კი მეთევზეობის კუთხით. ასევე, უფასოა მობილური ექსტენციის ლაბორატორია, რომელიც ფუნქციონირებს სსიპ „ლაბორატორიის კვლევის ცენტრის“ ბაზაზე. როდესაც ექსტენციონისტი მიდის ნაკვეთზე და ვერ ახდენს ამა თუ იმ დაავადების იდენტიფიცირებას თავისი საშუალებებით, ამ შემთხვევაში იძახებს მობილური ლაბორატორიის მანქანას, რომელიც მიდის ადგილზე, იღებს ნიმუშებს და ადგილზევე, აღნიშნულ მანქანაში არსებული სადიაგნოსტიკო საშუალებებით ახდენს მავნებელ-დაავადების იდენტიფიცირებას.

მამუკა თურმანიძე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი:

- კარგად ვიცით, რომ აჭარა ძალიან ფრაგმენტირებული ციტრუსოვნების პლანტაციებით გამოირჩევა. ერთიანი წამლობითი ღონისძიებები ათწლეულია ციტრუსოვანთა პლანტაციებში არ განხორციელებულა. მიუხედავად ამისა, მაინც ხარისხიანი მოსავალი იწარმოება. ვმუშაობ სასარგებლო მწერების გამოყენებაზე მცენარეთა დაცვის კუთხით და მინდა გითხრათ, კვლევის პროცესში აღმოჩნდა, რომ ის ენტომოფაგები, რომლებიც იქნა შემოყვანილი 1950-იან წლებში, ჯერ კიდევ მუშაობენ ძალიან წარმატებით და არეგულირებენ მავნე ორგანიზმებს. აჭარაში ფუნქციონირებდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებლებთან ბრძოლის ბიოლოგიური მეთოდების სამეცნიერო ცენტრი, რომელმაც 40-მდე სასარგებლო ორგანიზმი, ენტომოფაგი და ენტომოპათოგენური სოკო შემოიყვანა და სწორედ ამ სასარგებლო ორგანიზმებიდან დღეს 18-დან 20-მდე ვხვდებით გარემოში, რომლებიც ახლაც აქტიურად მუშაობს. აი, ამ 18-დან ჩვენ 3-ზე განვახორციელეთ მოკვლევა, თუ რა კონდიციაშია და აღმოჩნდა, რომ მათი ეფექტი არის 70-80 %-ის ფარგლებში, რაც საკმაოდ კარგი ციფრია, შეიძლება ითქვას, ამ ყველაფერმა მოგვცა იმის თქმის შესაძლებლობა, რომ ჩვენ აჭარის მეციტრუსეობაში თავისუფლად შეგვიძლია დავნერგოთ მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის მეთოდები, საამისო ფონი ბიოლოგიური დაცვის მიმართულებიდან არსებობს. ამ ყველაფერს თუ გონივრულად ჩამოვაყალიბებთ და რამდენიმე სადემონსტრაციო ნაკვეთს შევქმნით, შესაძლებელი იქნება, რომ სამომავლოდ ფერმერებს შევასწავლოთ მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის ღონისძიებები, შევამციროთ წამლობის ხარჯი, ქიმიის გავლენა და გავზარდოთ ხარისხი და რაოდენობა წარმოებული მოსავლის. სამწუხარო რეალობა გვაქვს, როდესაც ფერმერები არ ფლობენ საჭირო ინფორმაციას არა მხოლოდ სასარგებლო მწერებზე, არამედ ზუსტი წამლობის განსაზღვრასთან დაკავშირებით, სწორი აგროვადის

იხ. მე-4 გვ.

უცხოეთი

ბუქარესტის შეხვედრას დაესწრებიან საქართველოს, მოლდოვისა და ბოსნია-ჰერცეგოვინის საგარეო საქმეთა მინისტრები, რათა ამ რთულ დროს ნატოსთან მათი მზარდი თანამშრომლობის შესახებ იმსჯელონ, - ამის შესახებ ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა განაცხადა. მისი თქმით, აღნიშნულ ქვეყნებს რუსეთის ზეწოლა სხვადასხვა გზით ემუქრება. „ამიტომ, ჩვენს შეხვედრაზე გადავდგამთ შემდგომ ნაბიჯებს, რათა დავეხმაროთ მათ დამოუკიდებლობის დაცვაში და საკუთარი თავდაცვის უნარის გაძლიერებაში“, - აღნიშნა სტოლტენბერგმა. ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა ბუქარესტში 29-30 ნოემბერს გაიმართება.

* * *

უნგრეთი ფინეთისა და შვედეთის ნატოში წევრობის რატიფიცირებას 2023 წლის დასაწყისში მოახდენს, - ამის შესახებ უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ ორბანმა სლოვაკეთში ვიშეგრადის ჯგუფის შეხვედრის შემდეგ განაცხადა. ვიქტორ ორბანის თქმით, მისმა მთავრობამ უკვე გადაწყვიტა, რომ უნგრეთი მხარს დაუჭერს ფინეთისა და შვედეთის ნატოში გაწევრიანებას და ქვეყნის პარლამენტი ამ საკითხს შემდეგი წლის პირველი სესიის დღის წესრიგში შეიტანს.

* * *

ირლანდიის პარლამენტის ზედა პალატამ უკრაინაში 1932-1933 წლების ჰოლოდომორი უკრაინელი ერის გენოციდად აღიარა. ინფორმაციას ამის შესახებ ირლანდიაში უკრაინის საელჩო ავრცელებს. „ნამდვილად ისტორიულია გადაწყვეტილება 1932-33 წლების ჰოლოდომორის უკრაინელი ერის გენოციდად აღიარების შესახებ. ირლანდია ჩვენი უახლოესი მეგობრების რიცხვს მიეკუთვნება, რომელსაც არ ეშინია მოვლენების საკუთარი სახელით მოხსენიება“, - ნათქვამია უკრაინის საელჩოს განცხადებაში.

* * *

აშშ-ის პრეზიდენტ ჯო ბაიდენის ადმინისტრაციის წარმომადგენლების შეფასებით, რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა შესაძლოა, ქიმიური იარაღი გამოიყენოს უკრაინაში, თუ მისი ჯარები გააგრძელებენ პოზიციების დაკარგვას ბრძოლის ველზე. აღსანიშნავია, რომ ამ შემოდგომაზე პენტაგონმა აღმოსავლეთ ევროპაში გაგზავნა ჯგუფები, რომლებმაც ქიმიური ან ბიოლოგიური საფრთხის შემთხვევაში, შეიარაღებულ ძალებს სამოქმედო პროცედურები გააცნეს. ასევე, აშშ-მა კიევს ქიმიური, ბიოლოგიური და ბირთვული დაცვის საშუალებები მიაწოდა.

* * *

კრემლის პრესსპიკერი დიმიტრი პესკოვი აცხადებს, რომ კიევს ენერგეტიკულ ობიექტებზე თავდასხმასთან დაკავშირებული სიტუაციის მოგვარება მოსკოვის მოთხოვნების შესრულებით შეუძლია. როგორც მან აღნიშნა, უკრაინის ხელისუფლებას აქვს ყველა შესაძლებლობა, დაასრულოს ხალხის ტანჯვა რუსული მხარის პირობებზე დათანხმებით. შეგახსენებთ, რუსეთი უკრაინის ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის ობიექტებს ბომბავს, რის გამოც, მილიონობით ადამიანი ელექტროენერგიის, წყლისა და გათბობის გარეშე რჩება.

მოამზადა
ია შველიძემ

როგორ აღმოაჩინა საკუთარ თავში ძალა და შეძლო სიკვდილის სურვილის დამარცხება...

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

12 წლის გოგონა დაფეხმძიმდა და საკეისრო კვეთა ჩაუტარეს... 14 წლის გოგონა გააუპატიურეს, მამასთან მივიდა, ეს ამბავი მოუყვა და მამამ ისე სცემა, საავადმყოფოში გადაიყვანეს. მანამდე მცირეწლოვანი შვილების თვალწინ ცოლს ქმარმა ყელი გამოჭრა. რამდენიმე დღის წინ, ღამის კლუბში გოგონებს ნარკოტიკული საშუალებებით თიშავდნენ და აუპატიურებდნენ. გუშინ ქალს სამსახურში ყოფილი ქმარი მიადგა, ბენზინი შეასხა და დაწვა, ქალი ადგილზე გარდაიცვალა...

ღმერთმა იცის, რამდენი მსგავსი ამბავი ხდება და რამდენი ქალი იმარხება ცოცხლად, იმ სიმწარესა და ჯოჯოხეთში, რასაც ფემიციდი ჰქვია. გულისმომკვლელია, შემზარავია ქალების გარკვეული ნაწილის მხრიდან დაღუპულ, ნაწამებ, დაჩაგრულ, ძალადობის მსხვერპლ ქალებზე გაკეთებული კომენტარები, მათი პოზიცია ფემიციდის მიმართ. გვიან ღამით, მაღაზიაში თუ აფთიაქში ჩასულ გოგონაზე, რომელიც გზაში მოკლეს, ამბობენ, ღამით ქუჩაში რა უნდოდაო. როგორც იმ გოგონაზე, ღამის კლუბში ნარკოტიკი რომ შეაპარეს და გათიშული გააუპატიურეს - ღამის კლუბში რა ესაქმებოდაო. საშინელ გარემოში ვცხოვრობთ, სადაც ქალი ადამიანად არ ითვლება და არაფერს ვაკეთებთ, რომ ეს შეიცვალოს. ტრაგედიაგადატანილი ქალები ისეთ წნეხში ექცევიან საზოგადოების მხრიდან, რომ ფიზიკურად გადარჩენილები ფსიქოლოგიურად ვეღარ უძლებენ და თავს იკლავენ.

> *როდესაც დავინახე, რომ უამრავი ქალი აზიარებდა თავიანთ ისტორიებს საჯაროდ თუ ანონიმურად, თითქოს მეც ვიპოვე საკუთარ თავში ძალა და გადავწყვიტე, მეც გამეზიარებინა გულისტკივილი. ამით სხვა ქალებსაც მივეცი მაგალითი, რომ შეუძლიათ ხმამაღლა ისაუბრონ და რაც მთავარია, ამხილონ მოძალადეები*

ქალები მარტონი არიან და არავინ არის, ვინც მივა მათთან და დაიცავს, ან ვისთანაც თვითონ მივლენ და თავს შეაფარებენ.

ბათუმელი **მარიამ ჯვართავა** 16 წლის ასაკში გახდა სექსუალური ძალადობის მსხვერპლი. არავინ ჰყავდა გვერდით, ვინც ანუგეშებდა, მის მდგომარეობას გაიზიარებდა. სრულიად მარტო აღმოჩნდა საკუთარ ფიქრებთან. იყო დეპრესია, სუიციდის მცდელობაც... წლები დასჭირდა, რომ ამ ყველაფერს გამკლავებოდა, თუმცა მოახერხა, ამ თემაზე ხმამაღლა ალაპარაკდა და ინტერნეტსივრცეში, სადაც ათასობით გამომწერი ჰყავს, ქალთა მიმართ ძალადობაზე კონტენტი შექმნა. მარიამი თავის ვიდეოებში მენტალური ჯანმრთელობის მნიშვნელობაზე საუბრობს. ის ყოველდღე მიმართავს ქალებს, რომ არ გაჩუმდნენ, რომ ბოლო მოეღოს ქალთა მიმართ სექსუალურ შევიწროებას, ფემიციდს...

დღეს მარიამი ჩვენი სტუმარია და თავის ისტორიას გვიყვება.

- ინციდენტი, რომელმაც თქვენი ცხოვრება შეცვალა...

- ყველაზე დასამახსოვრებელი და ტრავმული ინციდენტი იყო 16 წლის ასაკში, როდესაც გავხდი სექსუალური ძალადობის მსხვერპლი. შემდგომ 17 წლის ასაკში, როდესაც სცადეს ჩემზე სექსუალური ძალადობა არაფხიზელ მდგომარეობაში. წლების განმავლობაში სამწუხაროდ, ჩემთვის მატრავმირებელი სხვადასხვა ინციდენტი ხდებოდა.

- მოგონება, რომელიც ყველაზე მძაფრად გახსენდებათ... რა მოხდა შემდეგ?

- ზემოთ ხსენებული ტრავმა ჩემთვის დღემდე აღმოჩნდა ყველაზე რთულად გასახსენებელი და გადასამუშავებელი, რადგან ვფიქრობ, მსგავსი გამოცდილება ძალიან სერიოზულ ზიანს აყენებს ადამიანის და მით უმეტეს, არასრულწლოვნის ფსიქიკას. ამ ამბის შემდეგ რამდენიმე წელი იყო გასული, როდესაც აღმოვაჩინე, რომ სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ვიყავი. ესეც იმიტომ, რომ 16 წლის ასაკში ჩემმა გონებამ ჩემდაუნებურად თითქოს დაბლოკა ეს ფაქტი და სანამ მსგავსი ისტორია არ მოვისმინე, სხვა, ჩემი გამოცდილების მქონე ქალებისგან, ვცხოვრობდი ისე, თითქოს არაფერი ცუდი არ დამმართნია იმ დღეს. მას შემდეგ თითქმის 10 წელი გავიდა და დღემდე მიჭირს ამ ტრავმის მოშუშება და საკუთარი თავის დაჯერება, რომ მე არ ვიყავი დამნაშავე, რადგან რეალურად ხომ ასე ხდება, ყოველთვის ქალებს გვადანაშაულებენ ძალადობაში...

- დღეს ძალიან ბევრი ქალი ძალადობის ან სექსუალური შევიწროების მსხვერპლია, თუმცა ამაზე საჯაროდ ვერ საუბრობენ... როგორ იპოვეთ თქვენში ძალა, ამ ყველაფერზე ხმამაღლა გესაუბრათ?

- როდესაც დავინახე, რომ უამრავი ქალი აზიარებდა თავიანთ ისტორიებს საჯაროდ თუ ანონიმურად, თითქოს მეც ვიპოვე საკუთარ თავში ძალა და გადავწყვიტე, მეც გამეზიარებინა გულისტკივილი. ამით სხვა ქალებსაც მივეცი მაგალითი, რომ შეუძლიათ ხმამაღლა ისაუბრონ და რაც მთავარია, ამხილონ მოძალადეები. ასევე, თითქოს მცირედი თერაპია ჩავუტარე საკუთარ თავს, რადგან არ არის მარტივი, წარსულში მიღებული ტრავმა რამდენიმე წლის შემდეგ ჯერ გაანალიზო და შემდეგ აღიარო საკუთარ თავთან. ამიტომ, ვფიქრობ, ყველას გვჭირდება ჩვენთვის საჭირო აუდიტორია, რომელიც მოგვისმენს და ჩვენთან ერთად გაიზიარებს ჩვენს ტრავმებს და სულიერ თუ ფიზიკურ ტკივილებს.

- რაღაც პერიოდი დეპრესია გქონდათ... როგორ შეძელით ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევა?

- ამ ყველაფერს, რა თქმა უნდა, მოჰყვა დეპრესია და მენტალური აშლილობები. ჩემს შემთხვევაში, დეპრესიასთან გამკლავება საკმაოდ რთული აღმოჩნდა, რადგან საკუთარ თავთან სრულიად მარტო აღმოვჩნდი. არავინ მყავდა, ვინც აღიარებდა ჩემს მდგომარეობას და გვერდით დამიდგებოდა ამ ყველაზე რთულ პერიოდში. დეპრესია დღემდე მაქვს, მაგრამ განვლილი ფსიქოთერაპიების დახმარებით და მედიკამენტური მკურნალობით, შევძელი ჩემი მდგომარეობის ძირფესვიანად შესწავლა და შემდგომ უკვე მართვა, რაც საკმაოდ რთულია და დიდ დროს და ენერგიას მოითხოვს. საბედნიეროდ, წარსულში გამოვლილი ტრავმებით შევიძინე უდიდესი გამოცდილება და დღეს უკვე თამამად ვამბობ, რომ დეპრესიასთან დავმეგობრდი. იმედი მაქვს, ერთ დღესაც დეპრესიას წარსულ დროში ვახსენებ და ჩემი დღეებიც უფრო გალამაზდება მის გარეშე.

- სოციალური ქსელის ერთ-ერთ პლატფორმაზე, სადაც ათასობით გამომწერი გყავთ, შიშზე, შფოთვით აშლილობაზე და მათ თავისებურებებზე საუბრობთ. ეს ყველაფერი თქვენი გამოცდილებიდან გამომდინარეობს?

- მას შემდეგ, რაც საჯაროდ დავიწყე ამ თემებზე საუბარი ჩანაწერების თუ პოსტების სახით, გადავწყვიტე, ჩემი გამოცდილება გამეზიარებინა უფრო ფართო აუდიტორიისთვის და შეძლებისდაგვარად დავხმარებოდი ბევრ ადამიანს. დავიწყე ვიდეოების ჩაწერა, სადაც ხალხს ვუზიარებდი პირად ტრავმებს. ვსაუბრობდი მენტალური ჯანმრთელობის მნიშვნელობაზე და აუცილებლობაზე. ვუზიარებდი ჩემს მდგომარეობას და ამით ვამბობდი, რომ მენტალური აშლილობის ქონა არ არის სირცხვილი. ამ თემაზე საუბარი არის მნიშვნელოვანი და საჭირო, რადგან ერთმანეთის გამოცდილებების გაზიარებით ჩვენ ძალიან ბევრ ადამიანს ვეხმარებით, რომ მარტო და გარიყულად არ იგრძნონ თავი.

- სუიციდის მცდელობაც გქონდათ...

- ხშირად ვსაუბრობდი სუიციდზე, რასაც, რა თქმა უნდა, თავიდან მოჰყვა კრიტიკის უდიდესი ტალღა და მესმის კიდეც ამ ადამიანების, რადგან სამწუხაროდ, დღეს თითქოს, ამ საკითხის რომანტიზებას ახდენენ. ამ დროს მნიშვნელოვანი იყო, საზოგადოებისთვის მიმეწოდებინა სწორი ინფორმაცია და ხაზი გამესვა არა უშუალოდ მცდელობის ფაქტისთვის, არამედ იმისთვის, თუ როგორ აღმოვაჩინე საკუთარ თავში ძალა და შევძელი სიკვდილის სურვილის დამარცხება.

- რას ეტყოდით მათ, ვისაც მსგავსი გამოცდილება აქვს, თქვენს მდგომარეობაში ყოფილა, ან იქნება?

- ჩემს პოსტებში და ვიდეოებში ყოველთვის ვუსვამ ხაზს, რომ თუ ადამიანი არ გრძნობს თავს კარგად და ხვდება, რომ სხვა ადამიანებისგან განსხვავდება მენტალური მდგომარეობით, ამ შემთხვევაში აუცილებლად უნდა მიმართოს სპეციალისტს, რადგან ჩვენი ძალებით რაც უნდა ვეცადოთ პრობლემის აღმოფხვრას, ბოლომდე მაინც ვერ მოვახერხებთ. ასევე, მნიშვნელოვანია, მივცეთ საკუთარ თავს დრო, რომ შეეგუოს ჩვენი გონება იმ რეალობას, რომლის წინაშეც აღმოვაჩნდით. არ დავაძალოთ საკუთარ თავს იმის გაკეთება, რაც ზიანს გვაყენებს, ან უბრალოდ არ გვინდა და მივენდოთ ჩვენს სპეციალისტს, რომელიც თითოეულ ეტაპზე ჩვენ გვერდით იქნება და გვასწავლის, თუ როგორ უნდა გავაგრძელოთ ცხოვრება ჩვენს მენტალურ მდგომარეობასთან ერთად.

- ის, რაც ყველაზე მეტად გაბედნიერებთ...

- თერაპიებით ვისწავლე საკუთარ თავთან ურთიერთობა, საკუთარი თავისთვის დროის დათმობა და საკუთარი სურვილების პატივისცემა. სწორედ ამ ყველაფერმა მომანიჭა უდიდესი ბედნიერება. დღეს საკუთარ თავთან მეგობრობა მანიჭებს ბედნიერებას და თავისუფლებას.

- ამჟამად რას საქმიანობთ?

- ამ ბოლო დროს ჩემი ცხოვრება გახდა რუტინული, რაც ხანდახან ჩემში დიდ სტრესს იწვევს, მაგრამ სამსახურიდან გამომდინარე, უამრავ ადამიანთან მაქვს შეხება. ვცვლი ემოციებს, კომუნიკაციას ვამყარებ მათთან და მათ განწყობაზე ვზრუნავ. ზოგადად, ბარისტას პროფესია ასეთია. მეც ჩემი სამყარო აღმოვაჩინე და ამით ვცდილობ, ჩემი მდგომარეობის შემსუბუქებას. მყავს ადამიანი, რომელსაც ვუზიარებ ჩემს ყოველდღიურობას და რომელიც მეხმარება, ამ რუტინულ ცხოვრებას ცოტა ხნით მაინც გავექცე.

- უახლოესი გეგმა და მიზანი...

- დღეს უკვე მყავს საყვარელი ადამიანი, რომელიც ჩემთან ერთად იზიარებს ჩემს ყოველდღიურობას. ჩემთან ერთად შეისწავლის მარიამს და მის საჭიროებებს და მეხმარება გავუმკლავდე ყოველდღიურ სირთულეებს. ჩემი მომავალიც და გეგმებიც სწორედ ამ ადამიანს უკავშირდება. მინდა, მასთან ერთად გავხდე უკეთესი საკუთარი თავისთვის და მისთვის. ვფიქრობ, საკუთარ თავთან ურთიერთობამ და საკუთარი თავის მიმართ სიყვარულმა ჩემი წარსულიც, აწმყოც და მომავალიც სრულიად სხვა თვალით დამანახა, ბევრად ნათელი და ლაღი ფერებით.

უკრაინა

რუსეთის მიერ კრიტიკულ ინფრასტრუქტურაზე თავდასხმის შედეგად, უკრაინის დედაქალაქ კიევის დაახლოებით 50% ელექტროენერგიის გარეშეა დარჩენილი, - ამის შესახებ კიევის საქალაქო სამხედრო ადმინისტრაცია იუწყება. მათივე ცნობით, წყლის მიწოდება სრულად აღდგენილია და საგანგებო სიტუაციების სამსახურის ეკიპაჟები სწრაფად მუშაობენ ქალაქში გათბობის სისტემის აღსადგენად. ცნობისათვის, ოთხშაბათს რუსეთის მიერ კრიტიკული ინფრასტრუქტურის ობიექტებზე განხორციელებულმა თავდასხმამ უკრაინის ელექტროსადგურების უმეტესობის დროებით გათიშვა გამოიწვია, რის შედეგადაც მოსახლეობის უმრავლესობა ელექტროენერგიის გარეშე დარჩა.

* * *

ჩვენ უნდა დავიბრუნოთ ყველა მიწა. მიმაჩნია, რომ ბრძოლის ველი არის გზა, როდესაც არ არსებობს დიპლომატია, - ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ Financial Times-თან ინტერვიუში განაცხადა. „თუ შენს მიწას სრულად ვერ დაიბრუნებ, ომი უბრალოდ გაყინულია. მისი განახლება დროის საკითხია“, - აღნიშნა ზელენსკიმ. მისი თქმით, ყირიმის საკითხი საერთაშორისო დღის წესრიგში დგება.

* * *

ევროკონტროლი უკრაინასა და მოლდოვას საჰაერო ინფრასტრუქტურის მხარდასაჭერად 46,5 მილიონ ევროს გადასცემს. საჰაერო ნავიგაციის უსაფრთხოების ევროპული ასოციაციის წევრმა ქვეყნებმა (Eurocontrol) განაცხადეს ნებაყოფლობითი სოლიდარობის ფონდების შექმნის შესახებ, რათა მხარი დაუჭირონ წევრ სახელმწიფოებს საჰაერო მიმოსვლის კრიზისის შემთხვევაში. განცხადების თანახმად, ევროკონტროლის წევრმა 41-მა ქვეყანამ სააგენტოს სთხოვა ორი სპეციალური ფონდის შექმნა და მართვა: პირველი არის შემოწირულობის ფონდი უკრაინისა და მოლდოვისათვის 46,5 მილიონი ევროს ოდენობით, ხოლო მეორე 46,1 მილიონის სესხის სახით ესტონეთის, ლატვიის, ლიეტუვისა და პოლონეთისთვის. „ყველამ იცის, რამხელა გავლენა მოახდინა პუტინის აგრესიულმა ომმა უკრაინის წინააღმდეგ ევროპის კონტინენტზე საჰაერო მგზავრობაზე, ამიტომ ფონდების შექმნა ხელს შეუწყობს საჰაერო მოძრაობის კონტროლის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებას ნებისმიერ სახელმწიფოში, რომელმაც განიცადა ასეთი ზემოქმედება, ან შესაძლოა განიცადოს მომავალში“, - განაცხადა ეამონ ბრენანმა, Eurocontrol-ის აღმასრულებელმა დირექტორმა.

მცენარეთა დაცვის აქტუალური პრობლემები - საქართველოში

მე-3 გვერდიდან

შერჩევა უჭირთ და ხშირ შემთხვევაში, ხდება ქიმიის გამოყენება მაშინ, როდესაც კონკრეტული მავნებლის განვითარების ფაზა უკვე ჩავლილია ან ჯერ არ დამდგარა, ეს პრობლემებიც არის და ხომ წარმოგიდგენიათ, რა მდგომარეობა იქნება სასარგებლო მწერების ამოცნობასთან დაკავშირებით? ამიტომ ამ კუთხით სერიოზული საინფორმაციო კამპანია იქნება ჩასატარებელი. გარკვეულწილად, სტრატეგიაცაა შესამუშავებელი საინფორმაციო კუთხით, რომ ვესაუბროთ ფერმერებს, მიიღონ ინფორმაცია და გაერკვნენ თავიანთ ბაღში რა ხდება, მიიღონ სპეციალისტების რეკომენდაციების შესაბამისი გადაწყვეტილებები.

- სპეციალისტებთან ერთად ფერმერების დასწრებას თუ მიიჩნევთ საჭიროდ?

- ეს სამუშაო შეხვედრა ძალიან კარგი იყო სპეციალისტების ზედა დონეზე, მაგრამ აუცილებელია ამის მიტანა ფერმერებთან. ვფიქრობ, რომ აგროკლინიკა, რომელსაც შევქმნით მომავალში, ზუსტად ამ საქმეს მოემსახურება.

გიორგი მახარაძე, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს აგრარული ექსტენციის განყოფილების სპეციალისტი:

- მსგავს შეხვედრებზე ყოველთვის ჩნდება ახალი იდეები, მიმდინარეობს დისკუსია სპეციალისტებს შორის თუ როგორ, რა მეთოდებით შეიძლება ვებრძოლოთ კონკრეტულ მავნებელ-დაავადებებს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ მსგავს შეხვედრებზე თვალსაჩინო ხდება ახალი დაავადება ან ახალი პათოგენი, რომელიც ჩვენს რეგიონში არის გავრცელებული. მიღებულ ინფორმაციას სამინისტროში ვამუშავებთ, შემდეგ კი ვაწვდით ფერმერებს. სამინისტრო გეგმავს, მსგავსმა სამუშაო შეხვედრებმა კაბინეტებიდან გადაინაცვლოს უშუალოდ ფერმერების საკარმიდამო ნაკვეთებში და იქ მოვაწყოთ პრაქტიკული განხილვა.

„მზად უნდა იყო, რომ სტანდარტებს გვერდი აუარო“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

*ეთერ დეკანაძე - აჭარის მთიანეთის სიწმინდისა და სილამაზის სიმბოლო, ფერიასაც უწოდებენ, პოეტები ლექსებით ამკობენ, თანამემამულენი რიდით თავს უხრიან და ემადლიერებიან მისი თავდადებული საქმიანობისა და ამაგისთვის. წლების განმავლობაში ქალბატონ ეთერს თავი არ დაუზოგავს ეროვნული ცნობიერების, ქართული კულტურის, ქართული სიტყვის აღორძინებისთვის. ახლაც რუდუნებით იღვწის განათლების წინა ხაზზე - სკოლაში და ესაა სწორედ სამაგალითო და საგულისხმო. დიახ, ნათელ კვალს ტოვებს, ახალგაზრდებს სულიერი პურით უხვად აპურებს და მშობლიურის სიყვარულს უღვივებს. მაშ, ასე, ნომრის წვეულია ხულოს წმინდა აბუსერისძე ტბელის სახელობის სკოლის პედაგოგი, ხულოს საპატიო მოქალაქე **ეთერ დეკანაძე.***

- თქვენ გამორჩეულად უყვარხართ თანამემამულეებს, ახალგაზრდებს, რომელთაც ასწავლით. წარმატებული პედაგოგი ხართ, რა გზა განვლეთ მიღწევებისაკენ?

- დავიბადე 1949 წელს ხულოს ულამაზეს სოფელ უჩხოში, რომლის სიამაყე - თამარ მეფის მიერ აგებული უმშვენიერესი თაღოვანი ხიდი დღესაც ხალხის სამსახურშია. მამა 50 წელი მომავალ თაობას ასწავლიდა. ბავშვობაში გული სიამაყით მევსებოდა, როცა მამას მასწავლებელოო, მიმართავდნენ არა მარტო მოსწავლეები, არამედ მათი მშობლები და ბებია-ბაბუები. ამიტომ მე და ჩემმა უფროსმა დამ ნათელამ მასწავლებლობა ავირჩიეთ. 1972 წელს წარჩინებით დავამთავრე სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი და მუშაობა დავიწყე კორტოხში ქართული ენისა და ლიტერატურის, ასევე ისტორიის მასწავლებლად, შემდეგ, 1973-1991 წლებში - პარტიულ სამუშაოზე. იმ წლებში განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობდი

მოსწავლე ახალგაზრდობაში პატრიოტული გრძნობების გაღვივებას, ზნეობრივი პრინციპებით აღზრდას, ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბებას, ცნობიერების და წიგნიერების ამაღლებას. ხულოს მოსწავლე ახალგაზრდობა შეხვდა ლიტერატურის, ხელოვნების, მეცნიერების მრავალ გამოჩენილ წარმომადგენელს. დღემდე სიამაყით წარმოვთქვამთ ხულოელები მორის ფოცხიშვილის ექსპრომტად ნათქვამს: „ქართულად რომ ძგერდე გულო, ხულო უნდა ინახულო“. 90-იან წლებში ხულოში სწორედ ჩემი და თანამოაზრეთა ინიციატივით „ტბელობა“ დაწესდა, ასევე - „დედის დღე“, მანამ, სანამ მას მთელ საქართველოში აღნიშნავდნენ. ყველაზე მნიშვნელოვანი კი იყო 1991 წელს ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო სასწავლებლის გახსნა. ყოფილი პარტიული და საბჭოთა მუშაკები გვერდში დავუდექით სასწავლებლის ხელმძღვანელობას და ყველაფერი გავაკეთეთ, რომ სასწავლებლის ფუნქციონირება არ შეჩერებულიყო. აქ ხშირად სტუმრობდნენ მწერლები, პოეტები, საინტერესო შეხვედრა-დიალოგი გაიმართა გამოჩენილ ქართველ მწერალ გურამ დოჩანაშვილთან, მეცნიერ გურამ შარაძესთან, კინორეჟისორ რეზო ჩხეიძესთან... ასე გავალამაზეთ 90-იანი წლების მრუდე დღეები. სასწავლებელში 1991-2010 წლებში ვასწავლიდი საეკლესიო მწერლობას, საქართველოს ისტორიას. თუ როგორ ვასწავლე, 28 წლის შემდეგ სასწავლებლის პირველი კურსდამთავრებული, განახლების საჯარო სკოლის წამყვანი პედაგოგი დარიკო მელაძე გეტყვით: „ჩვენი ურთიერთობა ეთერ მასწავლებელთან 1991 წლიდან იწყება. ჩემს თაობას კარგად ახსოვს, რის ფასად და როგორ ვითარდებოდა იქ მოვლენები. იყო წინააღმდეგობა, ჩხუბი, გაუტანლობა. ამ დაძაბულ დროს ჩვენ ირგვლივ დადიოდა ოდნავ მკაცრი გამომეტყველებით, თვალებში ჩამდგარი სითბოთი, მზრუნველი ქალბატონი, რომლის სამართლიანობა, ხმის ტონალობა, მანერები და გაწონასწორებული ქცევები ქმნიდა კანონებს, რომელსაც ვერაფრით გადაუხვევდი. მე და ჩემი თაობა მოწიწებით თავს ვხრით მის წინაშე, თქვენ ხართ მასწავლებელი! ყოველთვის მახსოვს, რაც მასწავლეთ - „ნუ დაიჩოქებ, თორემ ძნელია წამოდგომა“... თუ არასოდეს დამიჩოქია, ეს თქვენ მასწავლეთ! გმადლობთ, მასწავლებელო!“. 2010 წლიდან დღემდე ვმუშაობ წმინდა აბუსერისძე ტბელის სახელობის სკოლაში, საქართველოს საპატრიარქოს მისიისა და ევანგელიზაციის განყოფილებამ მომანიჭა უმაღლესი კატეგორიის მასწავლებელის წოდება, დამაჯილდოვეს საპატიო ნიშნის ორდენით, 2016 წელს მომენიჭა საპატიო ხულოელის წოდება, 2019 წელს კი წმინდა აბუსერისძე ტბელის სახელობის პრემია. აი, ასეთია ჩემი გზა.

- თქვენი მუშაობის პერიოდში რა ცვლილებები განხორციელდა სწავლებაში, რა სიახლეები დაინერგა?

- ახალი პროგრამის სასწავლო პროექტები, შესაბამისი ტრერინგები, ონლაინსწავლება, ახალი ტექნოლოგიები... განათლების სისტემის მესვეურები მოითხოვენ, სწავლა - სწავლების პროცესში აქცენტი გაკეთდეს ისეთ მასალაზე, რომელიც შეიცავს პრობლემებს, განსაკუთრებულ თვალსაზრისებს, ამ პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას, თვალსაზრისების შეჯერებას, საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვას.

- როგორ ასწავლით, პროგრამებს ემორჩილებით თუ თავად აკეთებთ არჩევანს?

- როცა პირველად დავიწყე მუშაობა, ვალდებული ვიყავი, დავმორჩილებოდი რეკომენდაციებს, ვადგენდი ყოველი გაკვეთილის გეგმას, მაგრამ მიწევდა გადახედვა. სკოლა, კლასი, ბავშვი ისეთი ცოცხალი ორგანიზმია, რომ მზად უნდა იყო, რომ სტანდარტებს გვერდი აუარო და სიტუაციის მიხედვით წარმართო საგაკვეთილო პროცესი, ისე რომ მთავარი არ დაგრჩეს უყურადღებოდ... გამოცდილების შემძენის შემდეგ, ძირითადად, ვემორჩილები პროგრამებს, თუმცა საჭიროების შემთხვევაში თავად ვაკეთებ არჩევანს.

- მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად რა კეთდება დღეს და როგორია შედეგი თუნდაც თქვენი სკოლის მაგალითზე?

- ჩვენს სკოლაში არის მასწავლებელთა შეფასების ჯგუფი, რომლის წევრები ესწრებიან და აფასებენ, აძლევენ რეკომენდაციებს მასწავლებლებს სავალდებულო საჩვენებელ გაკვეთილზე. ფასილიტატორთა დახმარება (ცოდნის გაზიარება) უკეთ გვაჩვენებს პროგრამული საკითხების ნაკლოვანებებს, რის შედეგადაც უფრო სრულყოფილად წარვმართავთ საგაკვეთილო და სააღმზდელო პროცესს.

- ლიტერატურა სულის ფორმირების ერთ-ერთი მთავარი იარაღია, სწავლებისას რას უთმობთ განსაკუთრებულ ყურადღებას?

- ლიტერატურა მართლაც უწყობს ხელს ადამიანის სულის ფორმირებას. განათლება არ არის მხოლოდ ინფორმაციის ჩატვირთვა გონებაში, არამედ ესაა პრობლემების სხვადასხვა კუთხით დანახვის უნარი, ტრანსფერი. ჩემს მოსწავლეებს ვთხოვე, დაეწერათ - „მე რომ ქართული ლიტერატურის მასწავლებელი ვიყო“... გული გამითბა, როცა ჩემმა მოსწავლე გიორგი გელაძემ დაწერა - ლიტერატურა გვეხმარება, როგორ გადავირჩინოთ სულიო.

- რა ხერხებით და მეთოდებით ცდილობთ მოსწავლეებს მართლმეტყველება გაუუმჯობესოთ?

- მასწავლებელმა ისეთი სტრატეგია უნდა გამოიყენოს, რომ მისი სიტყვა სარწმუნო იყოს მოსწავლისათვის, განუვითაროს ზეპირი მეტყველების კულტურა. ამიტომ ყურადღებას ვუთმობ მეტყველებისას დაშვებული შეცდომების გასწორებას. კარგად მუშაობს უცხო სიტყვათა გამოყენება ლექსიკის გამდიდრებისთვის, თუმცა ჩემმა მოსწავლეებმა იციან, რომ მშობლიურია მთავარი.

- საკუთარი თავის რწმენა, ანუ მოსწავლის პიროვნული გაძლიერება რამდენად აქცენტირებულია თქვენს საგაკვეთილო პროცესში?

- როცა გწამს მოსწავლის შესაძლებლობების, შეგიძლია გავლენა მოახდინო მის განვითარებაზე უკეთესობისაკენ. ეს პროცესი დომინირებს ჩემს ყველა გაკვეთილზე. ჩვენ თითქმის ყველანი ბავშვობიდან ვყალიბდებით, მოსწავლის პიროვნულ გაძლიერებასაც ბავშვობაში ეყრება საფუძველი. რწმენით ბევრის მიღწევა შეიძლება, ცუდია მასწავლებლისათვის - „თუ მოწაფენი, მარად მოწაფედ რჩებიან“.

- ეროვნული ცნობიერების აღორძინება და ლიტერატურა, თქვენი თვალსაზრისი ამ თემაზე და როგორ მუშაობთ ამ მიმართულებით გაკვეთილზე?

- ლიტერატურა გავლენას ახდენს ეროვნული ცნობიერების აღორძინებაზე. ჩემი ყველა გაკვეთილი მიმართულია ეროვნული თვითშეგნების ამაღლებისთვის. ქართველობა დიდ პასუხისმგებლობას აკისრებთ. ამ მიწის შვილობა საამაყოცაა და საპასუხისმგებლოც, რათა პირნათელი იყო უფალთან და ხალხთან. საქართველო ჩვენით არც იწყება და არც მთავდება. ქართული ენაც, სიტყვაც ჰგავს ქართველი ადამიანის ხასიათს. ქართულ ენას, ქართულ სიტყვას აქვს სიმტკიცე ქეთევან დედოფლის, სიძლიერე წმინდა დავით აღმაშენებლის და დღესაც „დიდგორით დიდი გული აქვს ქართველს“.

- მოსწავლეთა ცნობიერებისა და წიგნიერების ამაღლებისთვის როგორ იყენებთ საჯარო სივრცეს და რა ეფექტი აქვს ამ ჩართულობას?

- კარგი შედეგი მოაქვს საჯარო სივრცეში მოსწავლეთა ჩაბმას. კლუბები, სასკოლო თეატრი, სხვადასხვა აქტივობა ამაღლებს ცნობიერებას, წიგნიერებას, დამოუკიდებელი და კრეატიული აზროვნების განვითარებას. სასკოლო ტურის მოწყობა და გამარჯვებულთა სტიმულირება კარგ შედეგს იძლევა წიგნიერების დონის გამოსავლენად. კოლექტიურად ვესწრებით ხულოს სახელმწიფო თეატრის პრემიერებს, სპექტაკლებს. მიმდინარე წლის ოქტომბერში ჩემი მოსწავლეები დაესწრნენ ლიტერატურულ ფესტივალს - „ზეკართან“. შეხვდნენ როსტომ ჩხეიძეს, ეკატერინე ტოგონიძეს, შორენა ლებანიძეს. მათთან დიალოგმა ახალგაზრდებს გაუღვივა ინტერესი, რომ იკითხონ ქართველ მწერალთა ნაწარმოებები. რამდენ ხანს ეყოფათ სულიერი საგზალი? წიგნები კითხვებს არ სვამენ, სამაგიეროდ, ყველა ცხოვრებისეულ კითხვაზე გვაწვდიან პასუხს. წიგნით შეძენილი ცოდნა ღრმაა და საფუძველიანი, მისით მიღებული შთაბეჭდილება წარუშლელი, დაუვიწყარი, ესთეტიკური სიამოვნების მომნიჭებელია.

- მოსწავლეს რომ ემოციური ინტელექტი განუვითარდეს, ანუ ტვინის კოგნიტური უნარი, ამისთვის სწავლების რა მეთოდია უფრო შედეგიანი? როგორ მუშაობთ ამ კუთხით?

- შემეცნების პროცესის განვითარება მოიცავს აღქმას, აზროვნებას. ემოციური ინტელექტის განვითარებისათვის სხვადასხვა ტიპის ზეპირ და წერილობით ტექსტებზე დამოუკიდებლად ვამუშავებ, ესაა ნაწარმოების გაგება-გაანალიზება, სხვადასხვა ტიპის ტექსტების შექმნა და წარდგენა-გაზიარება. ასე თანდათან ყალიბდება პატივისცემისა და პასუხსმგებლობის გრძნობა მშობლიური ენისა და ლიტერატურის, ზოგადად, ქართული კულტურისადმი, ასევე სხვა კულტურების პატივისმცემელი პიროვნების, ჰუმანურ ღირებულებებზე ორიენტირებული, შემოქმედებითი და მაძიებელი ახალგაზრდის ფორმირება, მათში რომელიმე ერთის, ან რამდენიმე კოგნიტური უნარის განვითარება.

- ეს თაობა ციფრული ეპოქის ახალგაზრდებია, როგორ დაახასიათებდით მათ?

- ციფრული ეპოქის ახალგაზრდებს ახასიათებთ სწრაფი აზროვნების, ინფორმაციის მოძიებისა და დალაგების უნარი. მრავალი სასიკეთო საქმე კეთდება მისი მეშვეობით, უმოკლეს დროში შეიძლება ნებისმიერი მასალის მოძიება, სასურველი საკითხის გარკვევა, ურთულეს კითხვაზე პასუხის მიღება. დღევანდელი ახალგაზრდობა ჩაკეტილ სივრცეში ვეღარ იცხოვრებს, მისი გონებრივ-ინტელექტუალური პოტენციალი ვრცელ ასპარეზს მოითხოვს, საჭიროა სწორი მიმართულება მიეცეს მის ამოუწურავ შესაძლებლობებს... თავად მარკ ცუკენბერგი აღიარებს, რომ მონსტრი შექმნა, რომელიც უკარგავს ადამიანს მოვლენათა საღი შეფასების უნარს, რეალობის შეგრძნებას. ჩემი აზრით ახალგაზრდებს ციფრულმა ურთიერთობამ შეუსუსტა თანაგანცდის, თანადგომის და ზოგადად, ემოციური ურთიერთობები, პოზიტიური შესუსტდა და აგრესია გაიზარდა.

- ახლა რომ ირჩევდეთ პროფესიას, კვლავ პედაგოგობას მიანიჭებდით უპირატესობას?

- დიახ, მიუხედავად სიძნელეებისა, კვლავ მასწავლებელი ვიქნებოდი. კონფუცი ამბობდა: „ბედნიერებაა, როცა შენი ესმით, დიდი ბედნიერებაა, როცა სიყვარულის ობიექტი ხარ, მაგრამ ნამდვილი ბედნიერებაა, როცა გიყვარს“. მე ბედნიერი ვარ, რადგანაც მიყვარს ჩემი მოსწავლეები.

- როგორ ფიქრობთ, ემპათიური ადამიანი ხართ?

- დიახ, ვარ ემპათიური, შემიძლია სხვა ადამიანების თანაგანცდა, ამ შემთხვევაში მოსწავლეების, თანამშრომელების, შემწევს ადამიანთა გრძნობების გაგების უნარი, შემიძლია ბავშვების ბუნების უშუალო წვდომა. პაულო კოელიო წერდა: „ბავშვმა უნდა იცელქოს, ითამაშოს, ხანდახან ცოტა უნდა ითავხედოს კიდეც, ზედიზედ უნდა წააყაროს გულუბრყვილო კითხვები, ილაპარაკოს ათასი სისულელე, რისიც თავადვე არ სჯერა“! ასეთ დროს არ ვუსვამ თავს კითხვას: „ნუთუ ეს არის ის სულიერების გზა, რა გონებრივი უსუსურობაა“. ვიცი, „ადამიანის ნდობა მნიშვნელოვანი რამ არის“.

> *„ლიტერატურა მართლაც უწყობს ხელს ადამიანის სულის ფორმირებას. განათლება არ არის მხოლოდ ინფორმაციის ჩატვირთვა გონებაში, არამედ ესაა პრობლემების სხვადასხვა კუთხით დანახვის უნარი, ტრანსფერი. ჩემს მოსწავლეებს ვთხოვე, დაეწერათ - „მე რომ ქართული ლიტერატურის მასწავლებელი ვიყო“... გული გამითბა, როცა ჩემმა მოსწავლე გიორგი გელაძემ დაწერა - ლიტერატურა გვეხმარება, როგორ გადავირჩინოთ სულიო*

„სადაც კი ვიმუშავე, ყველგან იმ საქმეს ვაკეთებდი, რომელიც ძალიან მიყვარდა“

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

*ნახევარ საუკუნეზე მეტია აჭარის სახელოვან ქალთა პლეადას ქალბატონ **ჩიტო ომერაძის** სახელი და საქმე ამშვენებს. იგი დღესაც აქტიური ცხოვრებისეული პოზიციით მოდის.*

- ქალბატონო ჩიტო, დრო დიდებული მასწავლებელია, მას მოერგეთ თუ დრო მოირგეთ?

- გეთანხმებით, დრო ნამდვილად დიდებული მასწავლებელია, დრო ადამიანის ცხოვრების ისტორიაა, თანაც ისეთი, რომ მისგან, პასუხისმგებლობის შემთხვევაში, აუცილებლად ბევრს მიიღებ და ისწავლი. იყო პერიოდი - დროს მოვერგე, იყო პერიოდი - დრომ მომირგო.

- სახელის მოსახვეჭად დიდი შრომა და წლებია საჭირო. დღემდე როგორ იარეთ?

- არავინ თქვას, დიდი შრომისა და მონდომების გარეშე ადამიანმა მიზანს მიაღწიოს... უფლის ნებაც გასათვალისწინებელია. მოსწავლეობისას (ბათუმის მე-13 ქართული საშუალო სკოლა დავამთავრე), სწავლის გარდა, უამრავ აქტივობაში ვიყავით ჩართული. შრომის ფასიც მაშინ ვისწავლე. იმ პერიოდისათვის ჩვენი სკოლა ერთ-ერთი დისციპლინირებული და სამაგალითო გახლდათ. გვქონდა ქართული ენისა და ლიტერატურის კაბინეტი, რომელსაც ჩვენი კლასის ხელმძღვანელი და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ეთერ ფუტურიძე ხელმძღვანელობდა. მან მოგვცა საშუალება, კაბინეტის მოწყობაში მიგვეღო მონაწილეობა. კარგად მახსოვს, კაბინეტის გახსნას ესწრებოდა აჭარის განათლების მაშინდელი მინისტრი, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, ბატონი ვახტანგ წულუკიძე. მახსოვს დიდი შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილი მასშტაბური ღონისძიება ქალაქის ზღვისპირა ბულვარში, რომელშიც უმეტესად მოსწავლეები და სტუდენტობა მონაწილეობდა. ეს იყო 1966 წელი. მსგავსი რაფინირებული, დახვეწილი ღონისძიება, საქართველოს მასშტაბითაც კი, ბოლო 50 წლის განმავლობაში არ ჩატარებულა. იმ პერიოდის სასკოლო განათლების სისტემას მოსწავლეთა სხვადასხვა წრეში გაერთიანება პრიორიტეტად ჰქონდა. ასე მოვხვდი კალათბურთისა და ცეკვის წრეში. ცეკვას შესანიშნავი ქორეოგრაფები ისრაფილ დიასამიძე და გურამ ბაკურაძე მასწავლიდნენ. სასკოლო ცხოვრებიდან ერთი მნიშვნელოვანი მომენტი ისიც იყო, რომ შეხვედრები ეწყობოდა ჩვენი ქალაქის სახელოვან ადამიანებთან: მწერლებთან, პოეტებთან, მხატვრებთან, მუსიკოსებთან. მე-5 კლასიდან მოგვეცა შესაძლებლობა, თითქმის ყოველკვირეულად, უქმე დღეებში, დილის სპექტაკლებს დავსწრებოდით, რომელიც სპეციალურად მოსწავლეთათვის იმართებოდა ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში. აქ ვეზიარე თეატრალურ კულტურას. ბედნიერება მხვდა წილად, რომ ჩვენი თეატრის სცენაზე ვიხილე დიდი ქართველი მსახიობები: იუსუფ კობალაძე, მურად ხინიკაძე, აკაკი მგელაძე, თამარ სულხანიშვილი, ნუნუ თეთრაძე, ხასან მეგრელიძე, ნინო საკანდელიძე, მანუჩარ შერვაშიძე, ამირან ტაკიძე, ლევან ღლონტი, ნიაზ მესხიძე. აქ გავეცანი შალვა ინასარიძის, არჩილ ჩხარტიშვილის, გიზო ჟორდანიას, გურამ აბესაძის, გოგი ქავთარაძის შემოქმედებას. ბათუმის დრამატულმა თეატრმა შემაყვარა ქართული კულტურა და ხელოვნება. ეს გრძელდება ახლაც. საოცარი ტრადიცია ჰქონდა ქალაქს - ზაფხულობით ბათუმს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური, მარჯანიშვილისა და რუსთაველის სახელმწიფო თეატრების დასები სტუმრობდნენ. ერთი თვის განმავლობაში ქალაქი განსაკუთრებული დღესასწაულით ცხოვრობდა. სკოლის დამთავრების შემდეგ, ზაფხულში, მამას ვეხმარებოდი. 1970 წლის სექტემბერში ბათუმის მერიიდან გამოძახება მივიღე. ჩატარდა ხელმძღვანელ მუშაკთა შეხვედრა ახალ კურსდამთავრებულებთან. გამოგვიცხადეს, რომ თვის ბოლომდე სამსახური უნდა დაგვეწყო და ვაკანსიებიც შემოგვთავაზეს. მე ბათუმის მეფრინველეობის ფაბრიკაში დავიწყე მუშაობა, შემდეგ ხელვაჩაურის საავადმყოფოში სანიტრად, სტატისტიკოსად და... დაიწყო ჩემი შრომითი ოდი-სეა...

- იყო რეგიონის ახალგაზრდობის ლიდერი, ერთეულთა ხვედრია. იმ წლებიდან ყველაზე მეტად რა გახსენდებათ?

- დავამთავრე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის საღამოს განყოფილების ისტორიული ფაკულტეტი. პარალელურად ვირიცხებოდი ინსტიტუტის ქალთა საკალათბურთო გუნდში. ჩვენს ნაკრებს შესანიშნავი სპორტსმენი გენადი მენაბდე ხელმძღვანელობდა, უბრწყინვალესი პიროვნება იყო. მოსკოვის მსოფლიო ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მე-12 ფესტივალზე (1985 წელი), მსოფლიო ნაკრების წინააღმდეგ ვითამაშე საბჭოთა ნაკრების გუნდში. მატჩი საბჭოთა ნაკრების გამარჯვებით დამთავრდა, რაშიც ჩემი პატარა წვლილიც იდო - 17 ქულა. ეს მომენტი საინტერესოდ აღწერა თავის წიგნში („წეროები“) სახელოვანმა ქართველმა ჟურნალისტმა პაატა ნაცვლიშვილმა. შემდეგ ახალგაზრდულ ორგანიზაციაში მუშაობის ინტერესიც გამიჩნდა და უკვე 24 წლის ასაკში, ხელვაჩაურის რაიონში ვმუშაობდი მესამე, მეორე და პირველი მდივნის თანამდებობებზე. შემდეგ, აჭარის ახალგაზრდული ორგანიზაცია ჩავიბარე. ხელვაჩაურის ახალგაზრდულ ორგანიზაციაში მუშაობის დროს გავიცანი საქართველოს ახალგაზრდობის ლიდერი ჟიული შარტავა. წინა საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში საქართველოს ახალგაზრდობის ინიციატივითა და თაოსნობით, ქართული კაკლის ჯიშების გაშენება დაიწყო. „დაე, იშრიალონ კაკლის ხეებმა“ - ამ დევიზით ჩატარდა პრაქტიკული ღონისძიებანი. მთელმა საქართველომ აიტაცა მაშინ ეს ინიციატივა და აჭარის ახალგაზრდობამაც ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეში თავისი სიტყვა თქვა. საოცარი ენთუზიაზმი იყო აჭარაში. აჭარის გზატკეცილიდან დაწყებული დანისპარაულამდე, აშრიალდა კაკლის ხეები. ინიციატივამ რაიონების შიგა სოფლებიც მოიცვა. მადლიერება მინდა გამოვხატო ბატონ მიხეილ ბერიძის მიმართ, რომელიც მაშინ აჭარის სოფლის მეურნეობის სფეროს ხელმძღვანელობდა და გვერდში მედგა... საოცრად თბილი და საქმიანი დამოკიდებულება გვქონდა მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებთან, ხშირი იყო მათთან შეხვედრები, არცერთ ღონისძიებას მათ გარეშე არ ვატარებდით, იმ პერიოდისათვის განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა საქართველოს ღირსეულ მამულიშვილებთან შეხვედრებს. ახალგაზრდობის ინიციატივით, აჭარა მასპინძლობდა ისეთ ადამიანებს, როგორებიც ნოდარ დუმბაძე, გიორგი ციციშვილი, ნონა გაფრინდაშვილი, მუხრან მაჭავარიანი, შოთა ნიშნიანიძე, ენვერ ხაბაძე, ფრიდონ ხალვაში, ზურაბ გორგილაძე, მამია ვარშანიძე, იოსებ ნონეშვილი, ზურაბ ანჯაფარიძე, ახალგაზრდა მხატვრები, პოეტები, მწერლები, მეცნიერები იყვნენ.

- ქვეყნის ეროვნულ გმირს ჟიული შარტავას წიგნი მიუძღვენით. ახალგაზრდულ ქალაქ ბორის ძელოსათვის თავდადებული“ - წარდგინება, მე ამ წიგნის კონსულტანტი გახლდით. შემდგომ ამას მოჰყვა ჟიული შარტავას სახელობის გამზირი და გიორგი შხვაცაბაიას მიერ შექმნილი გმირისავე ბიუსტი გმირთა ხეივანში. 2024 წლის მარტში, ჟიული შარტავას 80 წლისთავს მისი თანამედროვენი ისევ აღვნიშნავთ. იგი ყოველთვის პირადი მაგალითი იქნება ქართველი ახალგაზრდობისთვის.

- აჭარის ღირსეულ ქალთა პლეადაში თქვენი ადგილი დაიმკვიდრეთ. წინამორბედთა ღვაწლს როგორ აფასებთ?

- წილად მხვდა ბედნიერება, ჩემი საქმიანობის გზაზე დამხვედროდა შესანიშნავ ქალთა კოჰორტა - ლამარა ბოლქვაძე, გულიკო კიკნაძე, ნანი გუგუნავა, ნათელა დუმბაძე, რენა სარიშვილი, გულიკო კაკალაძე, სხვები. მათგან იმდენი ვისწავლე, რომ საქმიანობა ცხოვრების ყველა ეტაპზე გამიადვილდა. ყველაზე მნიშვნელოვანი იმ პერიოდში ის იყო, რომ აჭარის მაღალმთიანეთიდან დაწყებული ბარამდე, უდიდესი როლი დაგვეკისრა ქალთა უფლებების დაცვის, განათლების, ჯანმრთელობის, კულტურისა და მეცნიერების სფეროში, მრავალშვილიან და მარტოხელა დედებზე მზრუნველობის საქმეში. დღევანდელი გადასახედიდან, ამ მიმართულებით ბევრია გასაკეთებელი.

- ბედნიერების ჟამს შეძენილი მეგობრები, განსაცდელში მყოფს გვერდით თუ დაგიდგნენ?

- ბოლომდე მხოლოდ ერთეულებმა გაუძლეს... მადლიერება მინდა გამოვხატო იმ ადამიანების მიმართ, რომლებმაც უმძიმესი ათი წლის განმავლობაში ხელი გამომიწოდეს და გვერდით უანგაროდ დამიდგნენ. ვინც შემომრჩა, ჩემთვის უძვირფასესნი არიან, ისინი მეგობრებს არ ყიდიან... გულნარა ბასილაძე, რუსუდან ფაღავა, დარია თურმანიძე, რუსუდან ფუტკარაძე, ეთერ დეკანაძე... წლები გავიდა და ჩვენ ისევ ერთმანეთით ვცხოვრობთ, ჩვენთვის ლხინიც ერთია და ჭირიც. თითოეული მათგანის დამსახურება ქვეყნისა და კუთხის წინაშე განსაკუთრებულია. ერთგულად ემსახურებოდნენ სამშობლოს. ჩვენმა მეგობრობამ ორმოცი წლის განმავლობაში ბევრ კატაკლიზმას გაუძლო, დღესაც ერთად ვართ, შვილებით, შვილიშვილებით და შვილთაშვილებით მდიდრები.

- ნიაზ ომერაძე - მამა, მეგობარი იყო თუ...

- ნიაზ ომერაძე ჩემი მამაც იყო, მეგობარიც და ოჯახის მთავარსარდალიც. მისი ცხოვრებისეული კრედო ჩემთვის მაგალითი გახდა. იყო მკაცრი, სამართლიანი და უდიდესი მოსიყვარულე თავისი ოჯახის, შვილების, საერთოდ, ადამიანების. მის მიერ დატოვებული სიკეთე და სიყვარული ახლაც წინ მხვდება. მოვასწარი და გამოვიტანე ჩვენი დაკარგული მამისეული სახლიდან მისი საარქივო მასალები და 2018 წელს წიგნი მივუძღვენი - „საუბარი მამასთან“, რომელიც ამ სფეროში ჩემი პირველი დამოუკიდებელი ნაბიჯი იყო.

- დედაზე რას გვეტყვით?

- დედა - რუსუდან დავითაძე, ჰაეროვანი, სიფრიფანა, სიკეთით სავსე ქალბატონი იყო, სიდიადითა და სათნოებით სავსე. მისმა თანადგომამ ცხოვრებასა და საქმიანობაში ბევრი რამ შემაძლებინა. ხშირად მიფიქრია, რომ არა დედა, ამდენს შევძლებდი? ალბათ არა! მისი ხელების სითბო თან დამდევს, დედას სალოცავ სიტყვებს რა გამოულევდა, მაგრამ ყველაზე ხშირად ამბობდა: „ღმერთმა თქვენზე ცუდი არ გამაგონოს, დალოცვილი ყოფილიყავით“...

- კარგს ყოველთვის მტრობენ. როგორ რეაგირებთ ამაზე?

- მტრების გარეშე ადამიანის ცხოვრებას ფასი არ ექნებოდა. მე ისინი ხშირად მეხმარებიან. რა თქმა უნდა, გულიც ბევრჯერ მატკინეს, უმეტესად, დაუმსახურებლად, ამიტომ ზოგი მათგანის „გადაჩოჩება“ მომიწია...

- ამ ეტაპზე რას საქმიანობთ?

- მრავალი რამ მაქვს მოსასწრები. ზოგჯერ ჩემი თავი ისევ ახალგაზრდა მგონია და ძველი შემართებით ვაგრძელებ აღმართს... ნანა გვარიშვილს თუ დავესესხები - „მე ერთხელ კიდევ, წყალგადანასხამ ნაღვერდალივით ავშიშინდები“. ვცდილობ, შიში არ შემეპაროს. ისევ უფალს მივუბრუნდები და უდიდეს მადლობას ვუხდი ყველაფრისათვის. თან ვთხოვ, რომ ცოტა ხანს კიდევ გაუძლოს დედამიწამ ჩემს სიმძიმეს... სადაც კი ვიმუშავე, ყველგან იმ საქმეს ვაკეთებდი, რაც ძალიან მიყვარდა. ახლაც ასეა - ამჟამად ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის ოფისის მენეჯერი ვარ. ამჯერად შემოქმედებით ჯგუფთან ერთად ვმუშაობ მუსიკალური ცენტრის ისტორიაზე. ასე რომ, საინტერესო საქმეს შევეჭიდე...

- მეგობარ ქალებს მემუარული წიგნების გამოცემაში თანადგომა არ მოაკელით. არანაკლებ საინტერესო იქნება, თქვენი მოღვაწეობა საზოგადოებამ წიგნად აკინძული იხილოს...

- ეს თანადგომა, გარკვეულწილად, სხვების სიჩუმემ განაპირობა. ეს წელი ძალიან დატვირთული და ნაყოფიერი გამოდგა ჩემთვის. ეთერ დეკანაძის მემუარებზე ვიმუშავე. მისი თანხმობის შემდეგ, შეყვითლებულმა ფურცლებმა ბათუმისაკენ აიღო გეზი და დიდი ინტერესით შევუდექი ჩემი კაფანდარა და ნიჭიერი მეგობრის ჩანაფიქრთა გამომზეურებას. ასე დაიბადა წიგნი - „მოგონებანი გარდასულ დღეთა“. ასევე საინტერესო გამოვიდა წიგნი ჩემი მეგობრის დარია თურმანიძის მოღვაწეობის შესახებ. სექტემბრის ბოლოს, აჭარის მწერალთა სახლში საქართველოს ქალთა საერთაშორისო ორგანიზაცია სოროპტიმისტ ინტერნაციონალის კლუბმა „ბათუმმა“ 30 წლის იუბილე იზეიმა. შედგა კლუბის ისტორიის ამსახველი წიგნი-ალბომის - „ევროპული მომავლის იმედით“ წარდგინება. მისი ავტორი ქალბატონი ნათელა დუმბაძეა, მე რედაქტორ-შემდგენელი. ალბათ, მოვიდა დრო, რომ ჩემი უცნაური და საინტერესო ცხოვრების არქივებიდან ამოვიღო მთავარი, სიკეთით, სიყვარულით, შემართებით და ერთგულებით განვლილი გზის ეტიუდები და ერთ წიგნად შეკრულ მემუარებს შევეპარო.

- აჭარაში მრავალი სტუმრის მომპატიჟებელი და მასპინძელი იყავით. მათგან ვინ დაგამახსოვრდათ?

- დამამახსოვრდა სახელოვანი ქართველი კომპოზიტორი და დირიჟორი ანდრია ბალანჩივაძე, რომელსაც ხულოში ვახლდი. მაესტრომ თავის ორკესტრთან ერთად, ხულოს სახელმწიფო თეატრში უბრწყინვალესი კონცერტი გამართა. განსაკუთრებული კვალი დატოვა ჩემს ცხოვრებაში ბატონ გიზო ჟორდანიასთან ურთიერთობამ. ეს გახლდათ რეჟისორი, რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა აჭარაში ქართული კულტურის განვითარებაში. ბოლოს, 2014 წელს ვითანამშრომლე ბატონ გიზოსთან - ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრში ჟორჟ ბიზეს „კარმენი“ დადგა. და კიდევ მთავარი - მე მომიწია იმ ჯგუფთან თანამშრომლობა, რომელსაც ევალებოდა ხუთი დღის განმავლობაში ემასპინძლა და გადაეწყვიტა ყველა მნიშვნელოვანი ორგანიზაციული საკითხი, რომელიც ეხებოდა მსოფლიო მაესტროს მსტისლავ როსტროპოვიჩის კონცერტს აჭარის სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრთან ერთად. ეს კონცერტი, რომელსაც დავით მუქერია დირიჟორობდა, 2003 წლის ივნისში შედგა. მეხსიერებიდან არ წაიშლება საქმიანი და საინტერესო შეხვედრები მაია თომაძესთან, ზურაბ სოტკილავასთან, ელენე ობრაზცოვასთან, ბექარ მონავარდისაშვილთან, მუხრან მაჭავარიანთან, მუსლიმ მაგომაევთან,

იხ. მე-7 გვ.

„მრავალი რამ მაქვს მოსასწრები. ზოგჯერ ჩემი თავი ისევ ახალგაზრდა მგონია და ძველი შემართებით ვაგრძელებ აღმართს... ნანა გვარიშვილს თუ დავესესხები - „მე ერთხელ კიდევ, წყალგადანასხამ ნაღვერდალივით ავშიშინდები“. ვცდილობ, შიში არ შემეპაროს. ისევ უფალს მივუბრუნდები და უდიდეს მადლობას ვუხდი ყველაფრისათვის. თან ვთხოვ, რომ ცოტა ხანს კიდევ გაუძლოს დედამიწამ ჩემს სიმძიმეს...

ბათუმის საერთაშორისო კინოფესტივალ „ლიმონის“ ფარგლებში სტუდენტური და სადებიუტო ფილმების ჩვენება გაიმართა

ზიქრია დავლაძე 597 25 25 72

ბათუმის საერთაშორისო კინოფესტივალ „ლიმონის“ პრეზენტაცია ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტში კინოფილმების ჩვენებამდე ორი დღით ადრე გაიმართა

შეხვედრაზე საუბარი იყო მოკლემეტრაჟიან, მათ შორის მხატვრულ, დოკუმენტურ, ანიმაციურ ფილმებზე, რომლებსაც ორგანიზატორები ფესტივალის ფარგლებში შემოგვთავაზებენ. ორგანიზატორების თქმით, დეფიციტური იყო დოკუმენტური, მოკლემეტრაჟიანი ფილმები, მაგრამ იმედოვნებენ, რომ წელს ამ კუთხით უკეთესი ვითარება იქნება, უფრო საინტერესო და დატვირთულ პროგრამას შემოგვთავაზებენ.

ფესტივალში 25 ქვეყნის 45 კონკურსანტი მონაწილეობს. სტუდენტებს მასტერკლასებს ქართველებთან ერთად უცხოელი რეჟისორებიც ჩაუტარებენ.

- მოგეხსენებათ, ბათუმში ეს ფესტივალი მეორე წელია, იმართება. შარშან მხოლოდ სტუდენტური ფილმები იყო, წელს კი სადებიუტო ფილმებიც გვაქვს წარმოდგენილი. ორ ნაწილად იქნება ჟიურიც განაწილებული, რომლის წევრები როგორც ევროპიდან, ასევე აზიის ქვეყნებიდან არიან. ორი ქართველი უხელმძღვანელებს ამ ორ სხვადასხვა ჟიურის, ესენია ნანა ჯორჯაძე, რომელიც სადებიუტო ფილმების საერთაშორისო კონკურსის ჟიურის თავმჯდომარეა და რუსუდან გოგლიძე - სტუდენტური ფილმების საერთაშორისო კონკურსის ჟიურის თავმჯდომარე. ჟიურის წევრების მასტერკლასებია დაგეგმილი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია სტუდენტებისთვის და, ზოგადად, კინომოყვარულებისთვის. ისინი შეძლებენ ამ ხელოვანებისგან მოისმინონ კინოს შესახებ ინფორმაციები, ძალიან საინტერესო იქნება ირანელი რეჟისორის მასტერკლასი, რომელიც ეხება ცენზურას კინოში. შარშანდელისგან განსხვავებით, წელს ბევრად მეტი ქვეყანაა წარმოდგენილი, არის უფრო მრავალფეროვანი ჟიური და მოლოდინიც მეტია თავისთავად, - განაცხადა ფესტივალ „ლიმონის“ დირექტორმა ირაკლი კიკვაძემ.

ფილმების: „ომს მიღმა“ (საქართველო - მერცია ქუთათელაძე, მხატვრული), „შემცირება“ (უნგრეთი - რეკა ანა საკალი, ანიმაცია), „დასვენებული ნისლი“ (უნგრეთი - ნიკოლეტი ფაბიანი, ანიმაცია), „ინციდენტი“ (საქართველო - ამირან ქათამაძე, მხატვრული), „რონინის აღსარება“ (საქართველო - გიორგი ხუხუნაიშვილი, მხატვრული), „სხვა დღეს“ (უკრაინა - დარინა სნიჟკო, დოკუმენტური), „ვალერიოს დღე“ (აშშ/კოლუმბი - მაიკლ აკროსი, მხატვრული), „აღდგომა“ (საქართველო - ნიკოლოზ ვერძაძე, დოკუმენტური) ჩვენება სტუდენტური ფილმების საერთაშორისო ფესტივალზე გუშინ 11 საათზე

იხ. მე-8 გვ.

შსს მოსახლეობას მოუწოდებს...

ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ 16-დღიან მსოფლიო კამპანიას, ჯანდაცვის სამინისტროსთან ერთად, შინაგან საქმეთა სამინისტროც შეუერთდა.

კამპანიის ფარგლებში შს სამინისტრომ გუშინ მოსახლეობას საინფორმაციო მოკლე სატელეფონო ტექსტური შეტყობინები დაუგზავნა:

„ქალის მიმართ ან/და ოჯახში ძალადობა დანაშაულია! თუ ხართ ძალადობის მსხვერპლი ან ფლობთ ინფორმაციას აღნიშნული დანაშაულის შესახებ, დაუკავშირდით 112-ს ან ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის facebook-გვერდს“, - აღნიშნულია პოლიციის მიერ დაგზავნილ SMS შეტყობინებებში.

ამირან გურიელიძე

25 ნოემბერი - ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღე

საქართველო კამპანიას შეუერთდა...

ნაირა ფუტკარაძე 27 48 93

საქართველოს მთავრობა უერთდება ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ 16-დღიან კამპანიას, რომელიც ყოველწლიურად აღინიშნება. ის 25 ნოემბერს დაიწყო და 10 დეკემბერს, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღეს დასრულდება, - ამის შესახებ მთავრობის ადმინისტრაციის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი.

უწყების ცნობით, აღნიშნულ პერიოდში გაიმართება საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები, რომელიც ემსახურება საზოგადოების სხვადასხვა წრის ინფორმირებას მოქმედი სამართლებრივი მექანიზმებისა და სახელმწიფო სერვისების შესახებ.

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის დაძლევის აუცილებელი წინაპირობაა საზოგადოების ცნობიერების, მგრძნობელობისა და თანამშრომლობის ჩარჩოების გაზრდა.

საქართველოს ხელისუფლება განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით კოორდინირებულ და კომპლექსურ მუშაობას.

მთავრობის დადგენილებით, მიმდინარე წელს დამტკიცდა 2022-2030 წლების ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია, რომელიც სხვა მნიშვნელოვან პრიორიტეტულ მიმართულებებთან ერთად, მოიცავს გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებების განმტკიცების საკითხებს და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის პრინციპებს.

გარდა ამისა, მიმდინარე წელს შემუშავდა და მთავრობის მიერ დამტკიცდა „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების“ და „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა“ 2022-2024 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმები.

ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ 16-დღიანი კამპანია მსოფლიოში 1991 წლიდან იმართება, რომელსაც მსოფლიოს 187 ქვეყანა და 5 ათასზე მეტი ორგანიზაცია უერთდება. კამპანია მიზნად ისახავს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე.

გუშინ თბილისის ანძა ნარინჯისფრად განათდა. ამ სიმბოლური ჟესტით საქართველოს დედაქალაქი, მსოფლიოს სხვა დედაქალაქების მსგავსად, გენდერული ძალადობის წინააღმდეგ გზავნილს შეუერთდა.

„მოსახლეობისათვის ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების“ პროგრამა

ნაირა ფუტკარაძე 27 48 93

აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს „მოსახლეობისათვის ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების“ პროგრამის ფარგლებში, სამი კვარტალის მონაცემებით, 3 751 მოქალაქე ორი მილიონ 714 107 ლარით დაფინანსდა.

პროგრამის მიზანია სოციალურად დაუცველი და სხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის მკურნალობასთან დაკავშირებული იმ ფინანსური რისკებისაგან დაცვა, რომელიც არ ფინანსდება მოქმედი სახელმწიფო სამედიცინო პროგრამებით.

პროგრამა ითვალისწინებს: სხვადასხვა, მათ შორის, თერაპიული ნოზოლოგიის დაფინანსებას; ღვიძლისა და ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის დაფინანსებას; გაფანტული სკლეროზის მკურნალობის დაფინანსებას მაღალეფექტური მედიკამენტით; რევმატოიდული ართრიტის მძიმე ფორმით და იდიოპათიური მაანკილოზებელი სპონდილიტით დაავადებული პაციენტების მკურნალობის დაფინანსებას ძვირად ღირებული ბიოლოგიური მედიკამენტებით; ფსორიაზით და ფსორიაზული ართრიტით დაავადებული პაციენტების მკურნალობის დაფინანსებას ძვირად ღირებული ბიოლოგიური მედიკამენტებით.

პროგრამის ბიუჯეტი 3 300 000 ლარია.

მომავალი წლის სამინისტროს ფინანსურ დოკუმენტში დაგეგმილია როგორც პროგრამის ბიუჯეტის, ასევე მოსარგებლეთა რაოდენობის ზრდა. კერძოდ: 120 000 ლარამდე გაიზრდება ღვიძლის ტრანსპლანტაცია, ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციისათვის კი გამოიყოფა 125 000 ლარიდან 235 000 ლარამდე.

„სადაც კი ვიმუშავე, ყველგან იმ საქმეს ვაკეთებდი, რომელიც ძალიან მიყვარდა“

მე-6 გვერდიდან

ოლეგ ტაბაკოვთან, კოკა იგნატოვთან, მირიან შველიძესთან, უშანგი იმერლიშვილთან, მარია ბიეშუსთან, ვერა წიგნაძესთან, რუსუდან ფეტვიაშვილთან, ქეთევან მაღლაკელიძესთან... ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ამ კუთხით, ბედნიერების არაერთი წუთი და საათი მქონდა, ამიტომაც, ბევრი სიძნელის მიუხედავად, ხშირად ვფიქრობ - ღირდა ამისთვის ეს ცხოვრება.

- საჯარო ღონისძიებებზე ხშირად საუბრობთ ქვეყნის მომავალზე...

- ამ ოცდაათმა წელმა ბევრი რამ გვაჩვენა, შეცდომებით სიარულის უფლება უკვე არ გვაქვს. მტკივა, რაც ჩემს სამშობლოს სტკივა: განათლების სისტემაში არსებული პრობლემები; აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნების გახანგრძლივება; სიყვარულზე სიძულვილის ძალადობა; ეროვნული აზროვნებისა და ცნობიერების სისუსტე; ჩვენი ახალგაზრდობის მომავალი; ქართული ენის გაუფასურება და ჩვენი სამშობლოს ისტორიის არასაკმარისი ცოდნა...

- უკრაინელი მეგობრები თუ გყავთ?

- მეგობრები - არა, მაგრამ მეზობლები მყავს. დღეს უკრაინაში არსებული ვითარება გულთან მივიტანეთ ყველამ. პირველი დღეებიდანვე ჩვენმა ქალთა საერთაშორისო ორგანიზაციამ განსაკუთრებული წვლილი შეიტანა უკრაინელი ხალხის დახმარებაში. ერთ-ერთი პირველნი გამოვეხმაურეთ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ინიციატივას და თითქმის ერთი დღის განმავლობაში კლუბ „ბათუმის“ ქალბატონებმა შეუძლებელი შეძლეს. შეგროვდა მედიკამენტები, სხვადასხვა სახის პროდუქტი, მათ შორის, ბავშვის კვების, ასევე, ტანსაცმელი, სათამაშოები, რომლებიც უკლებლივ ჩავიდა დანიშნულების ადგილზე. აქ ჩამოსულ უკრაინელ სტუმრებსაც უდიდესი თანადგომა და მხარდაჭერა აქვთ თითოეული ჩვენგანისგან. აღსანიშნავია ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის ხელმძღვანელობისა და შემოქმედებითი კოლექტივის არაერთი ინიციატივა, საქველმოქმედო ღონისძიება. ამაში დიდი წვლილი მიუძღვის ბათუმში არსებულ უკრაინის საკონსულოს, რომელთანაც მჭიდრო კავშირი გვაქვს. სისტემატურად ვიწვევთ უკრაინელ ბავშვებს, მათ მშობლებს ხელოვნების ცენტრში ჩატარებულ კონცერტებსა და სპექტაკლებზე. ვფიქრობ, მსოფლიომ ყველაფერი უნდა გააკეთოს უკრაინაში მშვიდობისთვის.

- რას დაამატებდით?

- დრომ ისე გაირბინა, უკან მოხედვაც ვერ მოვასწარი. არ იფიქროთ, მხოლოდ დადებითად ვაფასებ ჩემი ცხოვრების ყველა ნაბიჯს და საქმიანობას... ზოგჯერ მიკვირს, როგორ გამოვიარე ის ლაბირინთები, რომელიც ახლაც შიშს მგვრის... უნებურად, მაგრამ მაინც მომიწია ადამიანების განაწყენება, მეც ბევრი ცრემლი მდენია, მაგრამ არასოდეს არავისთვის მიღალატია, ბოროტება არ ჩამიდენია. დღევანდელი გადასახედიდან ვთვლი, რომ მეტის გაკეთება შემეძლო. ერთი ვიცი - ერთგულებით ვემსახურე სამშობლოს.

გაზეთი «აჭარა» გთავაზობთ ნებისმიერი სახის დიზაინერულ მომსახურებას, დიზაინის თანამედროვე სტილში გადაწყვეტას, რეკლამის გაფორმებას, შერჩევას. დიზაინის დამზადების მსურველებმა მიმართეთ გაზეთ «აჭარის» სარეკლამო სამსახურს. ტელ: 27 48 93.

ხსოვნა

ზოგი გიორგაძე

კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს

ძალიან რთულია, ილაპარაკო წარსულში იმ ადამიანზე, რომელიც იყო ღირსეული შვილი, მამა, მეუღლე, ძმა, ნიჭიერი რეჟისორი, ხელოვანი, დახვეწილი გემოვნების, ინტელექტით, სიყვარულითა და იუმორით სავსე.

გოგი გიორგაძემ ქალაქ ბათუმის № 28 საშუალო სკოლა დაამთავრა (ახლანდელი №10 საჯარო სკოლა), ამ სკოლის კედლებს, მასწავლებლებს, მისი თაობის 28-ე სკოლელებს დღესაც ემახსოვრებათ მჭევრმეტყველი, გამორჩეული ხმის ტემბრის მქონე მხატვრული კითხვის დიდოსტატი.

შეუძლებელი იყო, ერთხელ მოგესმინათ გოგისთვის და შემდეგ მთელი ცხოვრება არ გაგყოლოდათ ეს ხმა, ემოცია, როგორც საუკუნო საგზალი.

გოგი უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, რითაც გამოირჩეოდა სკოლაში. სხვაგვარად არც შეეძლო, ის ხომ ბათუმის № 28 საშუალო სკოლის (ახლანდელი №10 საჯარო სკოლა) რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში დირექტორის მოადგილის აღმზრდელობით დარგში და ღვაწლმოსილი პედაგოგის, მაღალი პროფესიონალიზმით გამორჩეული ქალბატონის თალიკო ხოფერიას შვილი გახლდათ.

ნაადრევად შეწყდა გოგი გიორგაძის გულისცემა, წავიდა ჩვენგან და თითოეული ნაცნობის, მეგობრის, თანაკლასელის ხსოვნაში დატოვა მოაზროვნის, ინტელექტუალის, ღირსეული მოქალაქის და ნამდვილი ბათუმელი კაცის სახელი.

გოგი ის დიდი ტკივილია, რომელთანაც სიტყვას, ალბათ ძალა ეკარგება და მარცხდება.

ბათუმის №10 საჯარო სკოლა

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომცემლობა რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ᵇ
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 25/11/22, 22 ⁰⁰ სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

„მიჩი“ – სპექტაკლი, რომლითაც „პირველი ავტოგრაფის“ მეორე სეზონი გაიხსნა

პირველ სპექტაკლად მე-14 საჯარო სკოლის „მიჩის“ შერჩევა ორგანიზატორებმა ალბათ მისი სანახაობრიობის, სიმსუბუქისა და სილაღის გამო გადაწყვიტეს, რაც მართლაც შეეფერებოდა საყმაწვილო, სასკოლო თეატრალური დასების ფესტივალ „პირველი ავტოგრაფის“ გახსნის საზეიმო განწყობას

სპექტაკლმა ერთი ამოსუნთქვით ჩაიქროლა და ზეიმურობის, სიხარულის განცდა დაგვიტოვა, რასაც შემსრულებელთა გულწრფელობის, მონდომებისა და ნიჭიერების გარდა გადამდები მუსიკაც უწყობდა ხელს. მართალია, პანტომიმურზე (ასე ითქვა ამ სპექტაკლის შესახებ, ამიტომ სანამ ვნახავდით, ჩვენს პუბლიკაციაშიც პანტომიმურ სპექტაკლად გვაქვს ნახსენები) მეტად მას მუნჯი კინოს მსგავსად მუნჯი სპექტაკლის კლასიფიკაცია მოუხდებოდა, რადგან პანტომიმა თეატრალური ხელოვნების ცალკე განშტოებაა და გაცილებით მაღალი პარამეტრებია საჭირო მსახიობების პლასტიკის, სხეულის ფლობის თვალსაზრისით, მოზარდები კი მართლაც თავდადებულად მუშაობდნენ სცენაზე და მაყურებლის კეთილგანწყობასაც იმსახურებდნენ. მათი არტისტიზმი, აზრის მიმიკებითა და მოძრაობით გამოხატვის ხერხები, მართლაც, აღწევდა მიზანს - მოქმედება სიტყვებზე უკეთ გვიამბობდა ამბავს.

„მიჩი“ რამდენიმე პატარა ამბისგან შედგებოდა, რომელთა შორის კავშირი ყოველთვის არ იყო და ყველა ამბავიც ბოლომდე ცხადად ვერ გადმოსცემდა განზრახულს. გამორჩეულად დასამახსოვრებელი გამოვიდა პირველი და მეორე ამბის - გაღვიძება-სამსახურში წასვლის მზადებისა და ავტობუსით მგზავრობის, ასევე ჩარჩოში ჩაკეტილი ადამიანების გათავისუფლებისა და მათი მმართველის განიარაღების, თუნდაც კუპიდონის ან კინოთეატრის სცენები. მთავარი ისაა, რომ მოზარდები ცდილობდნენ, სხეულის და მიმიკის ენით გადმოეცათ სათქმელი, რომლის ინტერპრეტირება უკვე მაყურებლის საქმეა და დარწმუნებული ვარ, დარბაზში მსხდომთ არაერთი საინტერესო დასკვნისა და ფანტაზიის მიზეზი მისცეს. ვფიქრობ, მე-14 საჯარო სკოლის „მე-14 დასი“ ღირსეულად წარსდგა ფესტივალზე და ეს ალბათ შეფასებებზეც სათანადოდ აისახება. პიესის ავტორის და რეჟისორის ომარ ტატიშვილის შრომა, მართლაც, თვალსაჩინოა და მის საქებრად ისიც უნდა ვთქვათ, რომ საკმაოდ ნიჭიერი მოზარდები შეურჩევია სპექტაკლისთვის. ნათია სარიშვილისა და ნათია სარჯველაძის სცენოგრაფია ლაკონური და ეფექტიანია, ქორეოგრაფი ეთერ ხიმშიაშვილი კი ნამდვილად ახერხებს პლასტიკურად თითქმის მოუმზადებელი (ბუნებრივია, ისინი პირველად იდგნენ სცენაზე) მოზარდებისთვის პლასტიკის ენის მორგებას. მონაწილეები (ნიკოლოზ გორგილაძე, ლანა მანველიძე, დათო ასამბაძე, ნიკა რახიმოღლი, თორნიკე ქათამაძე, ლაშა გოჩიტიძე, ანა ბოლქვაძე, ანანო დიასამიძე, მარი ფერსელიძე, ელისაბედ ნაკაშიძე, თეა ბერიძე, სალომე შარაშიძე, თიკო სოლომონიძე, მილენა დავითაძე), როგორც უკვე ვთქვით, თავს არ ზოგავდნენ რეჟისორის ჩანაფიქრის გადმოსაცემად. მთავარი კი ის არის, რომ ბლომად ჩაყლაპეს სცენის მტვერი, რაც უკვალოდ ვერ ჩაივლის, უკვე სამუდამოდ „მოიწამლნენ“, ამიტომ თეატრით მათი დაინტერესება უთუოდ გაიზრდება.

დღეს მხოლოდ ამ საფესტივალო სპექტაკლზე გამოხმაურებით შემოვიფარგლებით, სხვა დადგმებზე ვისაუბრებთ შემდეგ ნომერში, რომელშიც ასევე ფესტივალის დახურვასა და ნომინაციებში გამარჯვებულებზე მოგახსენებთ,

მარინა მითაიშვილი

ფერადი სამყარო, რომელიც მუდამ შენთანაა

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ძმები ნობელების სახელობის ბათუმის ტექნოლოგიურმა მუზეუმმა და ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო პროფესიულმა თეატრმა ერთობლივი პროექტით ძალიან ლამაზი დღე აჩუქეს ბავშვებს - მუზეუმში პატარებისთვის საყვარელი თოჯინები გამოფინეს. ამ ზღაპრული ექსპოზიციის დამთვალიერებლები ბათუმის საბავშვო ბაღებისა და სკოლების აღსაზრდელები იყვნენ

როგორც მუზეუმის მმართველმა მედეა ჩარკვიანმა გვითხრა, ძმები ნობელების ტექნოლოგიების მუზეუმის მთავარი მიმართულება ტექნოლოგიებია, ამიტომ ყველა საგანი, საერთოდ, ყველაფერი, რაც ადამიანის ირგვლივაა, ტექნოლოგიური თვალსაზრისით აინტერესებთ. სხვადასხვა საგანთან დაკავშირებით აქ ხშირად ეწყობა საინტერესო გამოფენები. ქალბატონ მედეას სურდა, ისეთი ღონისძიება მოეწყოთ, რომელიც დააინტერესებდა მოსწავლეებს, საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს, გაეცოცხლებინათ ის სამყარო, რომელიც ჩვენთვის, ბავშვობიდან მოყოლებული, ძალიან ახლობელია, სადაც დიდები ბავშვობაში დაბრუნდებოდნენ, ბავშვებისთვის კი საინტერესო და ახლობელი იმიტომ იქნებოდა, რომ ეს არის ფერადოვანი, ლამაზი, ზღაპრული სამყარო... ამიტომ გადაწყვიტა მუზეუმმა ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო პროფესიულ თეატრთან ერთად გაეკეთებინა გამოფენა და წარმოედგინა თეატრში არსებული სხვადასხვა ტექნოლოგიით დამზადებული თოჯინები როგორც მოქმედი, ისე ადრინდელი სპექტაკლებიდან, რომლებიც თეატრის ისტორიაა. გამოფენა მართლაც ძალიან საინტერესო გამოვიდა.

მუზეუმში მოვიდნენ თეატრის დირექციის, სამხატვრო სახელოსნოს წარმომადგენლები - მხატვრები, რომლებმაც აუხსნეს ბავშვებს, თუ როგორ და რისგან ამზადებდნენ მათთვის საყვარელი სპექტაკლიდან ამა თუ იმ პერსონაჟს. ესაუბრნენ ტექნოლოგიურ მრავალფეროვნებაზე. თეატრის პიარმენეჯერ მარეხ ტუღუშის საუბარმა დიდი ინტერესი გამოიწვია ბავშვებში. მან აუხსნა პატარებს, როგორი ტიპის თოჯინები არსებობს. საუბარი კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა, ბავშვები ხალისით ჩაერთნენ და სამახსოვრო საჩუქრებიც დაიმსახურეს. სხვათა შორის, აქ მოსვლის მსურველი ბევრად მეტი იყო, მაგრამ ფართის სიმცირის გამო ყველა ვერ მოიპატიჟეს. და მაინც, მუზეუმს ათობით ბავშვი ეწვია.

თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ირაკლი კიკვაძემ აღნიშნა, რომ პროექტი - მუზეუმში თოჯინები გამოეფინათ, მუზეუმის მმართველმა შესთავაზა, რათა ბავშვებს შესაძლებლობა ჰქონოდათ, ახლოდან ენახათ მათი საყვარელი სპექტაკლების გმირები. თეატრის ხელმძღვანელობამ მხატვრებთან ერთად შეარჩია 30-ზე მეტი თოჯინა და მუზეუმში გადმოიტანა. მათ შორის იყო ყველაზე „უხუცესი“ - 41 წლის ხეტიალა, ასევე ბავშვებისთვის ძალიან საყვარელი წითელქუდა, ბატის ჭუკი, ალადინი... თოჯინებთან ერთად პატარა დამთვალიერებლებმა მათი შემქმნელი მხატვრებიც გაიცნეს - მარინა ფრანგიშვილი, გიორგი გოგიტიძე, მირანდა გურგენაძე, მერი დარცმელიძე... გამოფენაზე იმ მხატვრების თოჯინებიც იყო წარმოდგენილი, რომლებიც ახლა თეატრში აღარ მოღვაწეობენ.

- ეს დღე არა მხოლოდ ბავშვებისთვის, დიდებისთვისაც კარგი გამოდგა, ბავშვებთან უშუალოდ მოგვიწია ურთიერთობა. გავიგეთ, რა მოსწონთ თეატრში, რა - არა. ეს იყო ძალიან ჯანსაღი და სასიამოვნო ურთიერთობა, - აღნიშნა ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ირაკლი კიკვაძემ.

- ყველა თოჯინა მომეწონა. სწორი პასუხისთვის საჩუქარიც დავიმსახურე და მიხარია, - გვითხრა მეორეკლასელმა მარიამ ზოიძემ.

- ბავშვებისთვის მართლაც საინტერესო დღე იყო, ძალიან ისიამოვნეს. გაეცნენ თოჯინების წარმოშობის ისტორიას, ასევე გაიგეს მათი დამზადების ტექნოლოგია. დარწმუნებული ვარ, ეს მათ კიდევ უფრო შეაყვარებს თოჯინების თეატრს, ამით კულტურასაც აიმაღლებენ და ხელოვნებაც უფრო შეუყვარდებათ. ბავშვებმა ბევრი პერსონაჟი იცნეს და სურათებიც გადაიღეს. უკვე დავგეგმეთ, რომელ სპექტაკლს უნდა დავესწროთ. მადლობა მუზეუმს და თეატრის წარმომადგენლებს, ბავშვებს რომ ასე ასიამოვნეს, - გვითხრა ბათუმის მე-18 საჯარო სკოლის მე-2 კლასის პედაგოგმა სოფიო ჯანგველაძემ.

როგორც მედეა ჩარკვიანმა აღნიშნა, რადგან დიდი მოწონება დაიმსახურა, მუზეუმი ამ პროექტს კიდევ უფრო მასშტაბურად განახორციელებს.

ბათუმის საერთაშორისო კინოფესტივალ „ლიმონის“ ფარგლებში სტუდენტური და სადებიუტო ფილმების ჩვენება გაიმართა

მე-7 გვერდიდან

შედგა, 17 საათზე კი ხელოვნების უნივერსიტეტში სადებიუტო ფილმები - „აფრი მომავალი ღამე“ (მაროკო - იოსერა ბუჩტია, მხატვრული), „კაპრალის გამოძახება“ (გვინეა-ბისაუ/ბრაზილია/პორტუგალია - აველკეტ ბუნგუე, დოკუმენტური), „ჩემი მეზობელი მგელი“ (ხორვატია, სერბეთი - ნებოჯსა სლიეპჩევიჩი, მხატვრული) და სხვა აჩვენეს.

დღეს დაგეგმილია მოკლემეტრაჟიანი ფილმების - „თანდაყოლილი“, „ნაპერწკალი“, „გადასახლება“, „ამოკი“, „ქალიშვილობა“, „ფაზა“, „მიტოვებული სოფელი“, „ბრმა ლაქები“, „მედეას შთამომავლები“, „წისქვილის ქვა“, „ტვირთი“, „დიდი მოგზაურობის დასაწყისი“ და „დიალოგი ტბის პირას“ ჩვენება. შეგახსენებთ, რომ კინოფესტივალის ორგანიზატორია „არტ საზოგადოება ლიმონარიუმი“, პარტნიორები - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი და ბათუმის დრამატული თეატრი. ფესტივალის მხარდამჭერები არიან აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, ბათუმის მერია, ასევე საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი.